საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 18 მაისი. 2017 წ. №100 (8237), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გურამ ოდიშარია

სინდისი დაჩაგრული ანგელოზია!

③

ქართული ბატონი

დონალდ ტრამპი: საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია მსოფლიოსთვის კვლავ შთამაგონებელია

საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია მსოფლიოსათვის კვლავ შთამაგონებელია, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისთვის, საქართველო-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავის მილოცვის წერილში აღნიშნავს.

როგორც აშშ-ის პრეზიდენტი წერს, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

„ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი ქვეყნების დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მსურს, გადმოგცეთ თქვენ და ქართველ ხალხს ჩემი გულთბილი სურვილები და გამოვხატო გულწრფელი მადლიერება ჩვენი ხანგრძლივი მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის.

ჩვენი პარტნიორობის საუკუნის პირველ მეოთხედში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ შექმნეს მჭიდრო ტრანსატლანტიკური კავშირი. ჩვენ ვიზიარებთ საერთო ღირებულებებს და მათ დასაცავად, რთულ ვითარებაში ყოველთვის ერთად ვდგავართ საერთაშორისო ტერორიზმისა და რეგიონული არასტაბილურობის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ, ასევე მხარს ვუჭერთ საქართველოს უფლებას, თავად განსაზღვროს საკუთარი მომავალი. საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია მსოფლიოსათვის კვლავ შთამაგონებელია.

მე და ჩემი ადმინისტრაცია მოუთმენლად ველით თქვენთან და საქართველოს მთავრობასთან მომავალ თანამშრომლობას, საერთო ღირებულებებისა და ჩვენი ქვეყნების კეთილდღეობის განვითარებისათვის“, — ნათქვამია აშშ-ის პრეზიდენტის მილოცვაში.

ოჯახის თავი უნდა იყოს ქმარი!

„სიყვარული რომ არ განქარდეს და ოჯახმა ბედნიერება შეინარჩუნოს, მისმა წევრებმა ერთმანეთისთვის ცხოვრება უნდა ისწავლონ და თავისი გარემო მცირე ეკლესიად აქციონ. რას ნიშნავს ეს? ოჯახში იერარქია (უფროს-უმცროსობა) უნდა იყოს დაცული და მისი თავი უნდა იყოს ქმარი, როგორც ამას უფალი ბრძანებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი რაიმეთია უპირატესი, არამედ მას მეტი პასუხისმგებლობა აქვს და ევალება მზრუნველობა და დაცვა ოჯახისა. ზრუნვა კი გულისხმობს არა მარტო მატერიალურ უზრუნველყოფას, არამედ ღვთის წინაშე მეოხებასაც. ლოცვა, რა თქმა უნდა, მეუღლეთა საერთო ვალდებულებაა და ხშირად ქალები უფრო გულმხურვალენიც არიან. მაგრამ წესით ქმარმა უნდა დალოცოს მეუღლე და ორივემ — შვილები. დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურად ოჯახის წევრების ერთად ლოცვას და ეკლესიურ ცხოვრებას. სასურველია, ორივემ ზეპირად იცოდეს დასაწყისი ლოცვები, 50-ე და 90-ე ფსალმუნები, „იესოს ლოცვა“, „მოწყალებისა კარი განგვიღე“, და სხვა“, — განაცხადა პატრიარქმა.

ზაურ ნაჭყებია:

დროა, მოთმინების ძაფი გაწყდეს!..

④

მოახერხებს აკაკი ზოიძე თამბაქოს მოწევის აკრძალვას?!

⑤

მოსაწევი ადგილები არ უნდა დავუშვათ, რადგან თამბაქოს კვამლს არა აქვს კარი...

დიდ კლასიკოსთან მიბრუნება

⑫

გულის ჯიბით სატარებელი წიგნები

სააკაშვილს მოქალაქეობის გარეშე დარჩენა ემუქრება

⑧

ოჯახის სიწმინდის დღე

გუშინ საქართველოში ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით თბილისის ცენტრალურ უბნებში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა.

სასულიერო პირებმა ფილარმონიასთან პარაკლისი აღავლინეს, შემდეგ კი კონცერტი გაიმართა. სხვადასხვა ლოკაციაზე წარმოდგენილ ღონისძიებებს მრევლი და სასულიერო პირები ესწრებოდნენ. სახალხო მსვლელობა ვარდების მოედნიდან სამების საკათედრო ტაძრისაკენ გაგრძელდა. ეკლესიაში მისული მრევლი საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა და პარაკლისი გადაიხადა.

* * *

ზუგდიდში მოქალაქეებმა ოჯახის სიწმინდის დღე აღნიშნეს და ამ მიზნით მსვლელობა ქალქის ცენტრიდან მშენებარე ტაძრისაკენ გაემართა.

მეუფე გერასიმემ მოსახლეობას დღესასწაული მიულოცა და ოჯახის სიწმინდის დაცვისაკენ მოუწოდა. შეგახსენებთ, რომ 17 მაისს საქართველოს პატრიარქის ინიციატივით ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნება. სხვადასხვა სახის ღონისძიებები გაიმართა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

იანოშ ჰერმანი: ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს

საგარეო საქმეთა სამინისტროში ევროკავშირის ელჩსა და მინისტრის მოადგილეს შორის შეხვედრა შედგა. იანოშ ჰერმანმა შეხვედრის დასრულების შემდგომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. მისი თქმით, იგი ვერ ისაუბრებს გერმანელი დიპლომატის, ჰერბერტ ზალბერის ნაცვლად, თუმცა ამ ფაქტის შესახებ მოკვლევა გაგრძელდება.

საქმე ეხება გერმანელი დიპლომატის განცხადებას, რომ იგი ანატოლი ბიბილოვს ულოცავს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში ე.წ. არჩევნების წარმატებულად ჩატარებას. ამ ფაქტის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროკავშირის ელჩი და გერმანელი დიპლომატი საკითხის შესწავლისათვის უწყებაში დაიბარა.

ოთარ ფარცხალაძეს გამოძიებასთან რაიმე დასამალი არ აქვს!

ოთარ ფარცხალაძეს გამოძიებასთან რაიმე დასამალი არ აქვს, — ამის შესახებ ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა ძველი თბილისის პირველ განყოფილებაში შესვლამდე ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ოთარ ფარცხალაძე პირველივე დაძახებისთანავე გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში. **„ოთარ ფარცხალაძე პირველივე დაძახებისთანავე გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში. ჩვენ მივცემთ იმ ინფორმაციას, რაც საკუთარი თვალით ნახა ოთარ ფარცხალაძემ. ჩვენ ვთანამშრომლობთ გამოძიებასთან. ოთარ ფარცხალაძეს გამოძიებასთან რაიმე დასამალი არ აქვს“,** — განაცხადა ადვოკატმა.

ლაშა თორდიას ჰკითხეთ, ვინ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა

„ლაშა თორდიას ჰკითხეთ, ვინ მიაყენა მას ფიზიკური შეურაცხყოფა“, — ასე უპასუხა ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ ჟურნალისტების შეკითხვას. ოთარ ფარცხალაძე ძველი თბილისის პირველ განყოფილებაში დაკითხვაზე იყო. ის პოლიციის განყოფილებაში ადვოკატებთან ერთად მივიდა.

გიორგი ვაშაძე პროკურატურაში დაიბარეს

„სამოქალაქო პლატფორმა — ახალი საქართველოს“ ლიდერი პროკურატურაშია დაბარებული. გიორგი ვაშაძე საგამოძიებო უწყებაში 18 საათზე მივა. ვაშაძეს პროკურატურა უფასო სასადილოების თემასთან დაკავშირებით გამოჰკითხავს.

სამოქალაქო პლატფორმამ „ახალი საქართველო“ ბოლო დღეების განმავლობაში უფასო სასადილოებში არსებულ კორუფციულ სქემებზე რამდენიმე განცხადება გააკეთა.

საქართველოსთვის შესაძლოა, 1.2-მილიარდიანი ბაზარი გაიხსნას

ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსი მარიამ გაბუნია აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ და ინდოეთმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს. შეთანხმების თანახმად, მომზადდება კვლევა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება. გაბუნიას თქმით, კვლევა რამდენიმე თვეში დასრულდება. **„ინდოეთი, როგორც ჩინეთი, დიდი შესაძლებლობების ქვეყანაა და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მეწარმეები თავისუფალი ვაჭრო-**

ბის რეჟიმში შევიდნენ ინდოეთის ბაზარზე და ინდურ მხარეს ჩვენი პროდუქცია გააცნონ. მაღალი მოთხოვნილებაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, აქედან მივაწოდოთ ეს პროდუქტი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით“, — აცხადებს მარიამ გაბუნია.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ 13 მაისს ჩინეთთან გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რაც 1.5-მილიარდიან ბაზარზე თავისუფალ წვდომას გულისხმობს.

მხარდამჭერი აქცია კანცელარიასთან გაიმართა

სახელმწიფო კანცელარიასთან ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული აქცია „ნუ დადგები ძალადობის მხარეს!“ მოეწყო.

აქციაზე ლგბტ თემის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საკუთარ პრობლემებზე, რომელთაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან და ხელისუფლებას სხვადასხვა ძალადობის ფაქტის გამოძიებისკენ მოუწოდეს.

„უნდა მოგვცეს ინტეგრაციის და განვითარების საშუალება ისევე, როგორც სხვებს აქვთ“, — ამბობდა აქციის მონაწილე.

აქციის მონაწილეებს პოლიციის კორდონი იცავდა. სასულიერი პირები და მრევლის ნაწილი ცდილობდნენ, შესულიყვნენ კანცელარიის ტერიტორიაზე, თუმცა, პოლიციამ მათ საშუალება არ მისცა.

ევროკავშირი აფინანსებს ლგბტ პროექტებს!

უკანასკნელ წლებში შესანიშნავი წინსვლა იყო მთელ მსოფლიოში ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის გაუმჯობესების კუთხით ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი (ლგბტ) პირებისთვის, — ამის შესახებ ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით უმაღლესი წარმომადგენლის ფედერიკა მოგერინის განცხადებაშია აღნიშნული.

ევროკავშირის სახელით გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ ევროკავშირი მთელ მსოფლიოში აფინანსებს პროექტებს, რომელთა მიზანია „ლგბტ“ ორგანიზაციების ხილვადობისა და აღიარების გაუმჯობესება, ხელისუფლებებთან მათი დიალოგის გაღრმავება კანონების შესაცვლელად, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა და „ლგბტ“ პირების ძალადობისაგან დაცვა.

„მილიონობით ადამიანთან ერთად მსოფლიოს გარშემო, ამ დღეს ევროკავშირი აღნიშნავს ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს. ეს ხელსაყრელი შესაძლებლობაა, რათა ხელისუფლებებს შევახსენოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაობის მხარდაჭერის ვალდებულება და უზრუნველვყოთ, რომ ყველამ, მიუხედავად გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა, ისარგებლოს ამ უფლებებით დისკრიმინაციის გარეშე.

უკანასკნელ წლებში, შესანიშნავი წინსვლა იყო მთელ მსოფლიოში ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის გაუმჯობესების კუთხით ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი (ლგბტ) პირებისთვის. რამდენიმე ქვეყანამ მოახდინა ჰომოსექსუალიზმის დეკრიმინალიზაცია, ხოლო ზოგიერთმა სხვამ მიიღო ახალი საკანონმდებლო აქტი ადამიანების სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დევნისგან დასაცავად. ამ ცვლილებათაგან არცერთი არ განხორციელდებოდა, რომ არა გაბედული აქტივისტების თავდადება, რომლებიც „ლგბტ“ პირებისთვის თანაბარი უფლებების მოპოვებისთვის იბრძვიან.

უამრავ ადგილას მთელი მსოფლიოს მასშტაბით კვლავაც სახეზეა დიდი წინაღობები. „ლგბტ“ პირების მიმართ დისკრიმინაცია და ძალადობა კვლავ ფართოდაა გავრცელებული. ერთსქესიანი ურთიერთობის დამყარება დანაშაულად მიიჩნევა 70-ზე მეტ ქვეყანაში, ხოლო ზოგიერთ მათგანში საქმე შეიძლება სიკვდილით დასჯამდეც მივიდეს. ევროკავშირი უმკაცრესად გმობს „ლგბტ“ პირების წინააღმდეგ მიმართულ დისკრიმინაციასა და ძალადობას.

2016 წლის ივნისში, ევროკავშირის საბჭომ პირველად მიიღო „ლგბტ“ თანასწორობის დასკვნითი დოკუმენტი, აღნიშნულ საკითხზე ევროკომისიის ქმედებათა ნუსხის საპასუხოდ. ევროკავშირი განაგრძობს ყველა პარტნიორთან მუშაობას თითოეული ადამიანის უფლებათა გასაუმჯობესებლად, მიუხედავად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა“, — ნათქვამია განცხადებაში.

ამ ამბავმა ხომ ჩვენამდე ასე მოაღწია — ბაბილონის გოდოლის მშენებლობის შეჩერება ენის აღრევამ გამოიწვია, მშენებლები ერთმანეთს კი ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ვერაფერს აგებინებდნენ. თავდაპირველად, გაოგდნენ — ეს რა გვემართებაო?!. შემდეგ კი დაასკვნეს — ღმერთმა ინება ასეო. და თითქოს დამშვიდნენ კიდევაც. ბაბილონის გოდოლის მშენებლობა სამუდამოდ შეჩერდა. მერე, დროთა განმავლობაში, დაშლა დაიწყო გოდოლმა. მოგვიანებით კი, ვინ არ სცადა მისი აღდგენა და მშენებლობის გაგრძელება, მაგრამ ამაოდ. ალექსანდრე მაკედონელიც სულ ტყუილად გაისარჯა — დაიწყებდნენ შენებას... და კვლავ ვერაფერს აგებინებდნენ ერთმანეთს. და ინგრეოდა, იშლებოდა, ნამცეცდებოდა ერთ დროს ცისკენ აფრენილი გოდოლი, მიწას მძიმედ ეფინებოდა მისი ნანგრევები. და, მართლაც, რა მოხდა, რა დაემართათ ასეთი ბაბილონელებს?.. ნუთუ მხოლოდ სხვადასხვა ენაზე საუბარი გახდა ყველაფრის მიზეზი?!.

გურამ ოდიშარია

ქართული ბაბილონი

დაახლოებით, მეოთხედი საუკუნის წინათ, დამოუკიდებელი საქართველოს გარიჟრაჟზე, ქვეყნის რომანტიკოსმა და საკმაოზე მეტად ენერგიულმა, აგრესიულმა ლიდერებმა ხალხი გაამხნევეს — საქართველოში უანკარესი წყაროები გვაქვს, შესანიშნავი ღვინო, გავყიდით მათ და, არც მეტი, არც ნაკლები, შვეიცარიასავით ვიცხოვრებთო.

და დაიწყო ახალი, დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მშენებლობა. სამწუხაროდ, მალე საურთიერთო ენა აირია ქვეყანაში. ძალიან, ძალიან მალე აირია ენა. 9 აპრილის ერთიანობა მალევე დანამცეცდა. ახალი სახელმწიფოს მშენებლობა სამოქალაქო ომმა, აფხაზეთთან და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქთან წარმართულმა კონფლიქტებმა შეაჩერეს. ვერც კარგი მნგრეველები ვერ აღმოჩნდნენ კარგი მშენებლები და ა.შ. და ა.შ.

ახალი საქართველოს გოდოლმა, რომლის სიმაღლე ცას უნდა მიწვდენოდა, დაშლა დაიწყო.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას არჩევიდან სულ ერთი წლისა და რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს ნომერ პირველ პროსპექტზე, რომელიც გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, 1991 წლის დამლევს შეიკრიბა პრეზიდენტის საწინააღმდეგო მიტინგი. ქვეყანა ორად გაიყო. საბოლოოდ, პირველი პრეზიდენტი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველო. სამოქალაქო ომმა ასეულობით ადამიანის სიცოცხლე და ბედნიერი მომავლის ოცნება შეიწირა.

სწორედ რუსთაველის პროსპექტიდან ასევე, დროზე ადრე, 2003 წლის ნოემბერში გაისტუმრეს დამოუკიდებელი საქართველოს მეორე პრეზიდენტიც ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ადრე არადამოუკიდებელ საქართველოს, დაახლოებით, ორ ათეულ წლამდე მართავდა. მასაც არ დასცალდა, ბოლომდე მიეყვანა მისთვის განკუთვნილი საპრეზიდენტო ვადა.

2007 წლის ნოემბერში რუსთაველის პროსპექტზე კვლავ შეიკრიბა, ასე ვთქვათ, საოკეანო რყევის, პრეზიდენტების ვადაზე ადრე გამსტუმრებელი მიტინგი (ქართულ სინამდვილეში მცირე მიტინგები ხომ პრეზიდენტებს ვერ ჯაბნიან). ახალი მიტინგი უკვე მესამე პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის გადადგომას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პრეზიდენტი მედგრად შეებრძოლა მომიტინგეებს სპეციალური რაზმებით, ნიღბიანი ადამიანებით, წყლის ფერადი ჭავლებით, სხვადასხვა ტექნიკური თუ ფსიქოლოგიური საშუალებებით და, ბოლოს, ჯარითაც კი, მაინც მოუწია გადადგომა; მაგრამ წინა პრეზიდენტებისაგან განსხვავებით, მან მალე მონაწილეობა მიიღო მომდევნო (2008 წლის იანვარში ჩატარებულ) საპრეზიდენტო არჩევნებში და კვლავ დაუბრუნდა პრეზიდენტის სავარძელს. თუმცა, მაშინ მან ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 53 პროცენტიღა მიიღო. 2004 წელს კი ის ლამის ხმების 100 %-ით აირჩიეს.

რაც შეეხება მეოთხე, 2013 წლის ნოემბერში არჩეულ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, ვფიქრობ, კარიერის უდროო დასასრული მას არ ემუქრება.

* * *

ახალი წელი ფილოსოფიური დღესასწაულიცაა — რამდენიმე საათით განმარტოებული (როგორმე უნდა მოახერხო ეს) აანალიზებ ძველ წელს, იხსენებ მის ბედნიერ და სევდიან, მის ერთფეროვან დღეებსაც და ცდილობ, ახალი იმედებით შეხვდე შემდეგ წელს.

რამდენიმე თვის წინათ ვფიქრობდი, დამეწერა ეს წერილი — „ქართული ბაბილონი". მიზეზთა გამო, დღემდე ვერ მოვახერხე მაგრამ, მაგრამ აი, ახლა, ახალი, 2017 წლის დასაწყისში, ვწერ ამ სტრიქონებს.

ბედნიერი ვარ, რომ დავიბადე ამ ქვეყანაში და ყველაფრისთვის მადლობელი ვარ ღმერთის. მადლობელი ვარ იმ თითოეული ადამიანის, რომელსაც ოდესღაც, ერთხელ მაინც შევხვდი დედამიწაზე. მიყვარს ისინი. და ისინიც კი მიყვარს, ვისაც ვერ წარმოუდგენია, რომ შეიძლება მიყვარდეს.

ჩვენ ერთმანეთის საჩუქრები ვართ. ასე გადაწყვიტა ეს ღმერთმა, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ცუდად გვესმის მისი. არ ვიცნობთ მას. ჯერაც უცნობია ჩვენთვის ღმერთი.

ამ წერილში თუ ზოგი ან ბევრი რამ არ მოგეწონებათ და თუ მოგეჩვენებათ, რომ როდესაც მე ვწერ „ჩვენ"-ს, ვგულისხმობ მხოლოდ სხვებს, გთხოვთ, სწორად გამიგოთ — სადაც წერია „ჩვენ", ეს იმას ნიშნავს, რომ, უპირველესად, საკუთარ თავს მივმართავ და, თავისთავად, ყველა გამოთქმული საყვედური, უპირველესად, ჯერ მე, მერე კი სხვა დანარჩენ „ ჩვენ"-ს ეკუთვნის.

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში საქართველომ რამდენიმე ომი გადაიტანა. მახსენდება უშუალოდ ომში ან ომის მიზეზით დაღუპული ადამიანების სახეები და სინდისი მქენჯნის იმის გამო, რომ იმ უბედურებების, რომლებიც თავს დაგვატყდა და თავადაც დავიტეხეთ კიდეც, თავიდან აცილება შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ეს ან ვერ ან არ მოვახერხეთ.

აფხაზეთის ომმა დამზაფრა. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი ეროვნების ადამიანი კვდებოდა ამ ომში. თითოეული მათგანის სიკვდილს ჩემი სულის ნაწილი ეწირებოდა.

აფხაზეთის ომმა დამზაფრა. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი ეროვნების ადამიანი კვდებოდა ამ ომში. თითოეული მათგანის სიკვდილს ჩემი სულის ნაწილი ეწირებოდა.

ბევრი სიკვდილი ვნახე, მაგრამ ვერც სიკვდილს შევეჩვიე და ვერც ომს. ყოველ სიკვდილს ახლებურად განვიცდიდი და განვიცდი.

ჩვენ დამნაშავე ვართ მომავალი თაობის წინაშე — მძიმე მდგომარეობაში მყოფი სამყარო დავახვედრეთ, მეგობრებისაგან გაღარიბებული და მტრებმრავალი. და ამისათვის ბოდიში არც კი მოვუხადეთ.

ამ წერილში თუ ზოგი, ან ბევრი რამ არ მოგეწონათ, ეს ნორმალურია, ჩვენ ხომ უნდა მოვუსმინოთ განსხვავებულ აზრებსაც — თითოეულ ჩვენგანს უახლესი პერიოდის საკუთარი განცდა აქვს. და გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ხანდახან, შესაძლოა, მწარედ იმიტომ ვწერ („სიმართლე მწარეა", ნათქვამია), რომ მინდა, ჩვენი ქვეყანა და ჩვენ, ყველანი, უკეთესები გავხდეთ...

იმიტომ რომ, მიყვარს სამშობლო და მიყვარს — „ჩვენ".

კეთილი, მოვრჩეთ რევერანსებს...

* * *

და, მართლაც, რა მოხდა, რა დაგვემართა ასეთი საქართველოში? ნუთუ მხოლოდ სხვადასხვა ენაზე საუბარი გახდა ჩვენი მწვავე პრობლემების, ჩვენი ქართული ბაბილონის არსებობის მიზეზი?...

იმ სამი პრეზიდენტიდან თუ ვინ როგორ ასრულებდა თავის საქმიანობას, მათთან დაკავშირებული უამრავი დეტალი, პლუს -მინუსები და ა.შ. სხვა წერილის, სხვა ანალიზის გასარკვევია. მათ ერთი მთავარი ნიშანი აერთიანებთ: სამივე, თავის დროზე თითქმის ასი პროცენტით არჩეული, ხელისუფლებაში თავისი უმრავლესობით მოსული პრეზიდენტი საზოგადოების, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე აქტიური ნაწილის ზეწოლის შედეგად, გარკვეული დროის შემდეგ, იძულებით ტოვებდა თავის პოსტს (როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1992-1993 წლებში ამას სისხლისღვრა, სამოქალაქო ომი მოჰყვა).

და ეს, სწორედ ეს ანცვიფრებს ყველას — ჩვენს ახლობელსა თუ შორებელს: **თითქმის ასი პროცენტით ვირჩევთ პრეზიდენტს და შემდეგ, როგორც ვირჩევთ, ისევე მოვიკვეთავთ.**

როგორი საზოგადოება ვართ, როგორი ქვეყანა?!. აღტყინებულები მეცხრე ცამდე ავაფრიალებთ ქვეყნის თავკაცებს და შემდეგ იგივე აღტყინებით ვანარცხებთ მიწას... საერთოდ, როგორი ვჩანვართ სხვათა თვალში?

და, საერთოდ, თითქოს დიდ-პატარიანად, რაღაც საიდუმლო შეთქმულების მონაწილენი გავხდით; შეთქმულებისა საკუთარი თავის წინააღმდეგ.

და განა რა მნიშვნელობა აქვს, ვინ, რომელმა ჯგუფმა, რომელმა პერსონამ გადადგა პირველი ნაბიჯი პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის გზაზე. პერსონიფიცირება აქ მეორეხარისხოვანია; მთავარი ისაა, რომ მათი ძალა ყოველთვის ჭარბობდა საერთო გადაწყვეტილებების მშვიდობით, გონითა და სინდისით მიღების მომხრეთა ძალას. საუბედუროდ, შორს ვიყავით ყოველივე იმისგან, რასაც ჭეშმარიტი დემოკრატია ჰქვია.

მიღებული შედეგების ავტორი კი არა, ის რომელიმე ჯგუფი ან პერსონა, არამედ სრულიად საქართველო, თითოეული ჩვენგანი გახდა!.. ისინიც კი, რომლებიც ჯერ არც დაბადებულან.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის განმავლობაში, ძალაუფლება ერთი ხელისუფლებიდან მეორეს მშვიდობიანად გადაეცა.

2016 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად კი საქართველოს მოქალაქეებმა ძალაუფლება, ისევ ისე, როგორც 2012 წელს, კვლავ „ქართულ ოცნებას" ჩააბარეს, ოღონდ ამჯერად ხმათა უდიდესი უპირატესობით, რომლის შედეგადაც „ოცნებამ" პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა.

თითქმის ასეთივე უმრავლესობა წინა ხელისუფლებასაც, იმ ხელისუფლების წინა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ხელისუფლებასაც ჰქონდა, მაგრამ...

როგორი იმედით ვიწყებთ ჩვენი სახელმწიფოსა და ჩვენი ცხოვრების ახალ პერიოდს? და ამ იმედის რა საფუძველი გვაქვს? თუ უიმედოთა ვართ? და თუ ეს ასეა, რატომ?

აწი მაინც, სახელმწიფოებრივ დონეზე, გავაანალიზებთ თუ არა ჩვენს უახლეს, ოცდახუთწლიან ისტორიას? განვიხილავთ თუ არა, ვაღიარებთ თუ არა ამ პერიოდის სწორ და მცდარ ნაბიჯებს?.. მიღწევებს, შეცდომებს, დანაშაულს მიახლოებულ შეცდომებს, და თავად დანაშაულს?

შევძლებთ თუ არა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ და ჩვენმა ხელისუფლებამ ჰარმონიულად, როგორც ერთი კაცის ორმა ხელმა ისე, ერთად აკეთონ საქმე?

(გაგრძელება ხვალინდელ ნომერში)

დროა, მოთმინების ძაფი გაწყდეს!..

ხშირად **მსაყვედურობენ: ყოველთვის ხელისუფლებას ვაკრიტიკებ (ისედაც დამძიმებულ ფონს კიდევ უფრო ვამძიმებ) და არაფერს ვწერ იმაზე, რაც კარგი კეთდება – თითქოს ვერ ვგრძნობ განსხვავებას „ნაციონალურ“ რეჟიმსა და „ქართულ ოცნებას“ შორის, სათანადოდ არ ვაფასებ ბიძინა ივანიშვილის ღვაწლს ახალი ქართული რეალობის შექმნაში და ა.შ. და ა.შ.**

ზოგიერთები უფრო შორსაც მიდიან და პირდაპირ თუ ირიბად, მაგრძნობინებენ, რომ ჩემს სტატიებში ბოღმიანი კაცის სუნთქვა იგრძნობა. მათი აზრით, ბოღმა მახრჩობს, რადგან, იმ გუნდში არ აღმოვჩნდი, ვინც დღეს ივანიშვილის წყალობით მაქსიმალურ კომფორტს იქმნის და საქართველოს ინტერესებს საკუთარ კეთილდღეობაზე ახურდავებს!

არსებობს საზოგადოების არც თუ ისე მცირე ნაწილი, ვინც საკუთარ პოზიციებში (რეალობის შეფასებაში) მეთანხმება, მაგრამ, მარტო ეს არ აკმაყოფილებს და „დავალებასაც“ მაძლევს – **ვისაუბრო იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვასწოროთ სიტუაცია ქვეყანაში...**

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზეც შიგადაშიგ ვსაუბრობ, ეტყობა, არ არის საკმარისი მკითხველს რეალური წარმოდგენა შეექმნას ჩემს ხედვაზე – **როგორ მესახება დღითი დღე მზარდი პრობლემების შერბილება და გლობალიზაციის პირობებში საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნება, ანუ, თუ მარტივად ვიტყვით, საკუთარი ხელისუფლების სახელმწიფოს (ხალხის) სამსახურში ჩაყენება ისე, რომ მომზადებული შევხვდეთ გლობალიზაციის მოთხოვნებსაც.**

საქართველო სამყაროს ნაწილია და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები პირდაპირ აისახება ჩვენს რეალობაზეც, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, ბრმად მივყვეთ დროის მდინარებას და ყველაფერს შევეგუოთ – **ყველა ერს საკუთარი მისია აქვს და ჩვენც აქედან უნდა გამოვიდეთ!**

რადგან ერის მისიას შევეხე, გადაჭარბებული არ იქნება ქართველი ერის მისიაზეც ორიოდე სიტყვით გავამახვილო ყურადღება: **ისტორიული ქარტეხილები - საქართველოს მრავალგზის დაცემა და აღზევება ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩვენ საზეპურო ერი ვართ და იმაზე მეტი მოგვეთხოვება, ვიდრე ფიზიკური გადარჩენაა!**

ჩემი პუბლიცისტური სტატიების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ მისიის გააზრების მცდელობაა – **მე ნაკლებად მაინტერესებს, ფორმალურად რით განსხვავდება „ქართული ოცნების“ რეჟიმი აგრესიული „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმისგან, ჩემთვის მთავარია, რა პოზიცია უჭირავს დღევანდელ ხელისუფლებას საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ და რამდენად ყურად იღებს იგი ხალხის (საზოგადოების) ხმას?!**

რეგიონებში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მოუმზადებლად ფორსირებულმა „განხილვამ“ დაადასტურა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს და მას საზოგადოების უმრავლესობის აზრიც არ აინტერესებს!

ამის დასტურია უარის თქმა საქართველოსთვის პრონციპულად მნიშვნელოვანი საკითხების კონსტიტუციაში ასახვის აუცილებლობაზე.

კერძოდ: **საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში „ქართული ოცნება“, იგივე დღევანდელი საკონსტიტუციო უმრავლესობა, კვირიკაშვილის პირით აცხადებდა, რომ კონსტიტუციაში აუცილებლად ჩაიწერებოდა ქორწინების დეფინიცია: „ქორწინება ეს არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ერთობა ოჯახის შექმნის მიზნით“.**

მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელ ქვეყანაში ამ ჩანაწერის აუცილებლობა არც უნდა არსებობდეს, მაშინაც ხაზგასმით ვწერდი: **ეს იყო წინასაარჩევნო სატყუარა ამომრჩეველთა მხარდაჭერის (ემოციური ფონის) მიღების მიზნით. დღეს ამბობენ, რომ ვენეციის კომისია ამაზე თანახმა არ არის...**

კონსტიტუციაში ასევე არ აისახება ქართველი ერის შეუფასებელი საუნჯის - ქართული მიწის უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვა (ეს განსაკუთრებით ეხება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს). **რამდენადაც ცნობილია, საერთაშორისო სტრუქტურები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწეროს მსგავსი ფორმულირება (ხელისუფლება გვპირდება, რომ უცხოელებზე მიწის მიყიდვა დარეგულირდება ორგანული კანონით, რაც სრული სიცრუეა) და ეს ყველაფერი „დემოკრატიული ფასადით“ ინიღბება - საერთაშორისო ორგანიზაციები თავის კატეგორიულობას იმით ხსნიან, რომ საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას ადგას და დემოკრატია ასეთ შეზღუდვებს გამორიცხავს...**

საკონსტიტუციო უმრავლესობა არც იმას მალავს, რომ უცხოელებზე მიწის გაყიდვის აკრძალვას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, რადგან საქართველოში არსებული მსხვილი საბანკო სექტორის დამფუძნებლებად უცხოური ორგანიზაციებიც გვევლინებიან და მათ შეეზღუდებათ გირაოში ჩადებული მიწის გადაფორმება – თუ ბოლომდე გავხსნით ფრჩხილებს, ქართული მიწის მუქთად და შეუზღუდავად შეძენა...



საკონსტიტუციო უმრავლესობა არც იმას მალავს, რომ უცხოელებზე მიწის გაყიდვის აკრძალვას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, რადგან საქართველოში არსებული მსხვილი საბანკო სექტორის დამფუძნებლებად უცხოური ორგანიზაციებიც გვევლინებიან და მათ შეეზღუდებათ გირაოში ჩადებული მიწის გადაფორმება – თუ ბოლომდე გავხსნით ფრჩხილებს, ქართული მიწის მუქთად და შეუზღუდავად შეძენა...

არადა, ქართული მიწა ქართველი ერის ფასდაუდებელი საუნჯეა – **არავის აქვს უფლება ქართველი ხალხი საკუთარ სამშობლოში ხიზნებად აქციოს (ისედაც ბევრი გვაქვს ჩვენი უგუნურობით ჩამოჭრილი ტერიტორიები) და დროის უკუღმართობით გაღატაკებულ მოსახლეობას (რაშიც კომფორტს და ძალაუფლებას დახარბებული საკუთარი ხელისუფლების წვლილიცაა) მარჩენალი ხელიდან გამოაცალოს!**

მე ვერ ვიქნები იმ ხელისუფლების მომხრე, რომელიც ქართულ მიწას შეუზღუდავად გაყიდის და ამას დამოკრატიული პრონციპების ერთგულებით ახსნის (ვის რაში სჭირდება ასეთი ყალბი დემოკრატია)!

არანაკლებ მტკივნეულია პრეზიდენტის არჩევის წესის შემოთავაზებული ვარიანტი, რომელიც კონსტიტუციაში უნდა დაფიქსირდეს (პრეზიდენტის არჩევა 300 ხმოსნის მიერ). როგორც ჩემს ბოლო სტატიაში **„გეშინოდეთ, დიქტატურა მოდის!** ანუ, როგორ აპირებს „ქართული ოცნება“ ხელისუფლების უზურპაციას“ ვწერდი, **ამით ამომრჩეველს საბოლოოდ წაართვეს არჩევანის უფლება** და ყველაფერი ხელისუფლების უზურპაციისკენ მიდის!

თანამედროვე კერპთაყვანისმცემლები!

ზემოთ ხსენებულ სტატიას მკითხველთა მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ბევრმა ჩემი განსხვავებული, მაგრამ ლოგიკური პოზიცია გაზვიადებულად ჩათვალა და აგრესიული შეძახილები არ დამკლებია. მეტიც, ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა (ვისთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა მაკავშირებს), პოლიტიკურ თემაზე წერაც კი „ამიკრძალა“...

ყველაფერზე მეტად მისი გაღიზიანება **ივანიშვილის** კრიტიკამ გამოიწვია და თავისი აღშფოთება საჯარო სივრცეშიც არ დამალა.

მეგობრისგან განსხვავებული აზრის მოსმენა და მწვავე კამათიც მისაღებია, მაგრამ, როცა საქმე საქართველოს ინტერესებს ეხება, ფრთიანი გამონათქვამისა არ იყოს: **„პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ, ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარიო“**, ჩემგან დათმობა და უკან დახევა არ ეგების!

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, დღევანდელი ხელისუფლების (დღევანდელი რეალობის) და ივანიშვილის როლის შეფასებაში, მაგრამ, როცა უარყოფითი (დღევანდელი გაგების, ნეგატივი) სჭარბობს დადებითს (პოზიტივს), მეტიც, როცა ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები საფრთხეს უქმნის საქართველოს მომავალს, ხელისუფლების ჰუმანურობაზე და ივანიშვილის მესიანობაზე საუბარი, რბილად რომ ვთქვა, მართებულად არ მიმაჩნია.

ეტყობა, ჩვენ ისე დავბრმავდით, რომ ღლავისა და ლიფსიტის გარჩევა გვიჭირს!

ეტყობა, ჩვენ ისე დავყრუვდით, ზეციურ ხმას არ ვაყურადებთ და მიწაზე კერპს ვეძებთ – იმაზე კი ნაკლებად ვფიქრობთ, საით მიგვაქანებს ოცდამეერთე საუკუნეში კერპთაყვანისმცემლობა.

შემიძლია, გულზე ხელი დავიდო და განვაცხადო: **სავსებით ნორმალურად ვიღებ კრიტიკას, თუ იგი ჯანსაღია და თან არგუმენტებით გაჯერებული, მაგრამ, სამწუხაროდ, კრიტიკის ნაცვლად საზოგადოების დაზომბირებული ჯგუფის აგრესია მესმის, რომლის მიზანიც მოვლენათა არსში სიცხადის შეტანა ნამდვილად არ არის.**

„კრიტიკოსებში“ საკმაოდ ბევრია ტენდენციური (რომელიც რაღაც სიკეთით სარგებლობს და დღევანდელ ხელისუფლებას ცივ ნიავს არ აკარებს) და გულუბრყვილო ადამიანების ჯგუფი. ამ უკანასკნელთ სჯერათ, რომ ყველაფერი ბუნებრივად უკეთესობისკენ შეიცვლება.

ბევრიც საღად აფასებს რეალობას, მაგრამ არ იცის, როგორ უნდა შეიცვალოს სიტუაცია. ხოლო, ვინც იცის, რა უნდა გაკეთდეს, ხელის და ტვინის განძრევა არ უნდა – ყველაფერი სხვამ უნდა გააკეთოს, თვითონ კი პროცესებს შორიდან უნდა უყუროს. რაღაცის შეცვლას, ანუ რეალურად საქმის კეთებას, ხომ სხვა ყველაფერთან ერთად, გამბედაობაც სჭირდება?!

დავნებდეთ თუ ვიბრძოლოთ, ანუ სად არის გამოსავალი?!

როგორც სტატიის დასაწყისში ვთქვი: ხშირად მსაყვედურობენ, რომ მარტო კრიტიკით შემოვიფარგლები და არაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ შეიძლება გამოვიდეთ ამ მოჯადოებული წრიდან.

მე არც წინასწარმეტყველი ვარ და არც უტყუარი პოლიტიკური რეცეპტის გამომგონებლობაზე მაქვს პრეტენზია, მაგრამ, ლოგიკაზე დაყრდნობით და შინაგანი რწმენით ვხვდები, თუ როგორ შეიძლება, შევარბილოთ პრობლემები და როგორ გადავურჩეთ ახალ მკაცრ გამოწვევებს.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საქართველოზე არ აისახება, მაგრამ, გონივრული პოლიტიკით და ეროვნული თვთმყოფადობისადმი თავგანწირვის მზაობით ბევრი რამის გადარჩენა შეიძლება!

ყველა ადამიანი ინდივიდია და ბუნებრივია, თითოეულ მათგანს განსხვავებული აზრი და მოთხოვნილებები გააჩნია, მაგრამ, არის იდეალები, რომელმაც უნდა გაგვაერთიანოს!

სწორედ იდეალისადმი (სამშობლოსადმი) ერთგულებით ახერხებდნენ ჩვენი ღირსეული წინაპრები მკვდრეთით აღდგომას და ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

დღეს ქართველი ერი იმდენად გათითოკაცებულია, საქართველოს ხილულ თუ უხილავ მტრებს ადვილად შეუძლიათ თითქმის ხერხემალში გადატეხილ ქვეყანას სასიკვდილო დარტყმა მიაყენონ და ამას, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენივე ხელებით აკეთებენ – მნიშვნელობა არა აქვს, ვინ სად არის – შემოსალტულ ენჯეოებში თუ სხვადასხვა პარტიულ სტრუქტურებში.

პარტიული სტრუქტურები ვახსენე და აქვე იმასაც დავძენ, რომ „დემოკრატიული პლურალიზმის“ „გვირგვინი“ – **სოკოებივით ამოსული გაურკვეველი (ყოველ შემთხვევაში, ანტიქართული) იდეოლოგიის პარტიები არიან სწორედ დღევანდელი საქართველოს ყველაზე დიდი მტრები – თუ გვინდა ერი მათი მოღალატეობრივი გავლენისგან ვიხსნათ, პარტიულობანას თამაში უნდა დასრულდეს!**

ჩემი აზრით, ყველაზე საიმედო „პარტია“ სამოქალაქო საზოგადოებაა, რომელმაც ზედმიწევნით იცის საკუთარი უფლებები და საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია არსებითად შეცვალოს რეალობაც!..

დიახ, სწორედ პროფესიული ნიშნით ჩამოყალიბებულ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია აკონტროლოს ხელისუფლების მზაკვრული ნაბიჯები და მის კონსტრუქციულ (ობიექტიურ) ოპონენტად იქცეს (განსხვავებით ე.წ. გაცვეთილი ოპოზიციური პარტიებისგან), აუცილებლობის შემთხვევაში კი შეცვალოს თვით ხელისუფლებაც.

ამიტომ, თავის დროზე ვწერდი, რომ **ბიძინა ივანიშვილი** ცრუობდა, როცა აცხადებდა: სამოქალაქო სექტორში გადავალ და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას დავაჩქარებო. აქსიომაა, არცერთი ხელისუფლება თავის დასაკლავ დანას არ გამოჩხრეკს – ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ!

ასევე არასერიოზულად მიმაჩნია საზო-

მოახერხებს აკაკი ზოიძე თამბაქოს მოწევის აკრძალვას?!

მოსაწევი ადგილები არ უნდა დავუშვათ, რადგან თამბაქოს კვამლს არა აქვს კარი..

თამბაქოს კონტროლის ახალი კანონის თანახმად, თამბაქოს მოწევის მიზნით სპეციალური მოსაწევი ადგილები აღარ დაიშვება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძე აცხადებს, რომ კანონში სპეციალურად არ დატოვეს „ხვრელები“ და არ დაუშვეს ასეთი ადგილების არსებობა, რადგან თამბაქოს მოწევის მხრივ საქართველოში ისედაც კატასტროფული მდგომარეობაა. მოსახლეობის 34% მწეველია და წლიურად 11 ათასი ადამიანი იღუპება თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებით.

„მოსაწევ ადგილებს როგორც კი დავუშვებთ, კანონი აღარ იმუშავებს, რადგან თამბაქოს კვამლს არა აქვს კარი“, — აცხადებს გუგული მაღრაძე.

მისივე თქმით, დახურულ შენობებში მთლიანი აკრძალვა ძალზე ეფექტურია, მხოლოდ საცხოვრებელ სახლებში შეიძლება მოწევა, ასევე, ნაწილობრივ სასტუმროებში, პენიტენციურ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. გამონაკლისის სახით, ტურიზმის ინტერესიდან გამომდინარე, ლიცენზირებულ კაზინოებსა და სიგარა-ბარებშიც შეიძლება მოწევა.

ის, რომ თამბაქოს მოწევის მიზნით სპეციალური მოსაწევი ადგილები აღარ დაიშვება, მწეველებისთვის სასიამოვნო სიურპრიზი არ არის. თუმცა სხვაგვარად ფიქრობს „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი **გიორგი ბახტურიძე:** 2008 წლიდან ცალკე მოსაწევი ადგილები უნდა გამოყოფილიყო ნებისმიერ დაწესებულებასა და კვების ობიექტში, მაგრამ როგორ იმუშავა ამ კანონმა, ყველამ კარგად იცის. ტექნიკურად ჯერ არ არის გამოგონებული ისეთი გამწოვი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კვამლის აბსოლუტურ განეიტრალებას იქ დასაქმებულებისა და სტუმრების დაცვის მიზნით. შესაბამისად, ყველაზე ეფექტურად და აღსრულების თვალსაზრისით მარტივ ზომად მთელ მსოფლიოში მიჩნეულია თამბაქოსგან თავისუფალი შენობები.

„ფაქტობრივად, მწეველებს ოკუპირებული აქვთ მთელი შენობა-ნაგებობები და გარე სივრცე, არსად არ ერიდებიან მოწევას. ჩვენი უფლებები კი დაუცველია. უცხოელ ტურისტებშიც უკმაყოფილებას იწვევს, რომ მოწევა დაშვებულია ყველა შენობაში, შეხვედრებზე თუ ოფისებში. ბევრი მათგანი მეორედ აღარც ჩამოდის საქართველოში. რაც შეეხება კაზინოებს, მოწევა დასაშვებია იმ დარბაზში, სადაც სათამაშო მაგიდებია; ხოლო კაზინოების იმ დარბაზში, სადაც საკვები და სასმელია, არ იქნება დაშვებული მოწევა. სიგარა-ბარებთან დაკავშირებით კი შემიძლია ვთქვა, რომ სპეციალიზებული ლიცენზირებადი საქმიანობა გახდება სიგარა-ბარის არსებობა და იქ მყოფ პირს მხოლოდ სიგარის მოწევა შეეძლება, მაგრამ არ შეეძლება საკვების მიღება. ეს იმიტომ კეთდება, რათა სიგარა-ბარის ნიღაბს არ ამოეფარონ ცალკეული კაფე-ბარები და აბსურდამდე არ მივიდეთ. ამიტომ სიგარის გაყიდვისგან მიღებული შემოსავლის წლიური ბრუნვა მინიმუმ 15% უნდა იყოს“, — აცხადებს გიორგი ბახტურიძე, რომელსაც სიგარა-ბარებსა და კაზინოებში მოწევის დაშვება მაინც გარდამავალ ეტაპად მიაჩნია და კატეგორიულად ეწინააღმდეგება ასეთი გამონაკლისის დაშვებას.

მისივე თქმით, კაზინოებსა და სიგარა-ბარებში ათეულობით ჩვენი მოქალაქეა დასაქმებული და მათი უფლებებიც დასაცავია. ამიტომ ასეთ დათმობას არ უნდა შევეგუოთ და უახლოეს პერიოდში სიგარა-ბარებშიც უნდა მოხდეს მოწევის აკრძალვა. გიორგი ბახტურიძე სამართლებრივ დახმარებას აღუთქვამს იმ ხალხს, ვინც დასაქმებულია კაზინოებში და მომავალში დასაქმდება სიგარა-ბარებში. ამიტომ მათ მოუწოდებს, მიმართონ სასამართლოს საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად და მათი თანადგომითაც ისარგებლონ.

„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი აცხადებს, რომ კაზინო აბსოლუტურად დახურული შენობაა, სადაც რეალურად განიავება-ვენტილაცია არ ხდება. ამიტომ ხშირად სასწრაფო დახმარების გამოძახება უწევთ იქ დასაქმებული პირებისთვის და ყოფილა მძიმე შემთხვევებიც. კაზინოში მუშაობა რთულია, თითქმის გაზის კამერის ტოლფასია.

„მწეველებს არ ვუკრძალავთ მოწევას, მხოლოდ ვთხოვთ, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობაში არ მოსწიონ. მოწევა დაშვებულია საცხოვრებელ სახლებში, ოღონდ არა ისეთ სახლებში, სადაც კერძო სამეწარმეო საქმიანობის აღსრულება ხდება, ან ოფისად აქვთ გაქირავებული“.

არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, მედიცინის დოქტორი **ლელა სტურუა** აცხადებს, რომ დახურულ შენობებში არსად არ უნდა იყოს მოსაწევი ადგილები. ასეთი ადგილები უნდა იყოს მხოლოდ ღია შენობებში, ღია ცის ქვეშ ან ნახევრად აივანზე, ვიანიდან მოსაწევი ადგილების გამიჯვნა სრულად ვერ ხერხდება და ამის გამო ადამიანები პასიური მწეველები ხდებიან.

„თუკი ახალ კანონმდებლობას ვღებულობთ, ყველა დახურული სივრცე თამბაქოსგან თავისუფალი უნდა იყოს. მით უმეტეს, ჩარჩო-კონვენცია ამას გვავალდებულებს და უკვე 6 თუ 7 წელია, გადავაცილეთ მის აღსრულებას. ევროპის უმეტეს ქვეყანაში თამბაქოსგან 100%-ით თავისუფალია დახურული სივრცეები. ასეა რუსეთში, მოლდოვაში, თურქეთში. თამბაქოს ინდუსტრიასთან ბრძოლა ყველა ქვეყანაში რთულია. უკვე რამდენი წელია, ვიბრძვით, მაგრამ, საბედნიეროდ, მხოლოდ ახლა გამოჩნდა სერიოზული ლიდერი აკაკი ზოიძის სახით, რომელმაც ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა. ჩვენ ვაწყდებოდით პრობლემას თამბაქოს ინდუსტრიის მხრიდან, ეს არ ყოფილა მუქარა, მაგრამ, სადაც მიუწვდებოდათ ხელი, ცდილობდნენ, გადაევადებინათ ან გარკვეული მუხლები შეერბილებინათ“.

მანანა ნოზაძე

მეტროს ახალ ვაგონებში მგზავრები ტელეფონის დატენვას შეძლებენ

ხაზზე გავიდა მეტროს 4 განახლებული ვაგონი. მათში შეიცალა მემანქანისა და მოძრავი შემადგენლობის ინტერიერი. განახლდა ძველი კომპრესორები და შეიცვალა მოძრავი შემადგენლობის გოგორწყვილი.

მგზავრებისთვის სასიამოვნო სიახლე კი ის იქნება, რომ ვაგონებში დამონტაჟდა სპეციალური USB როზეტები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ტელეფონებისა და სხვა ელექტრომოწყობილობების დატენვა.

ვაგონების განახლებას სატრანსპორტო კომპანიის შემადგენლობაში მყოფი ელექტრომოძრავი შემადგენლობების სარემონტო ქარხანა ახორციელებს. წელს დაგეგმილია მთლიანობაში 16 ვაგონის კაპიტალური რემონტი და 2-ის სრული მოდერნიზაცია.

აჭარა - ფრანკფურტის ტურისტულ გამოფენაზე

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ფრანკფურტის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „IMEX 2017“ მონაწილეობს. საქმიანი ტურიზმის მიმართულებით მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ გამოფენაზე დეპარტამენტი საქართველოს

ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთადაა წარმოდგენილი.

გამოფენის ფარგლებში დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ტურისტული კომპანიების, ტურიზმის სახელმწიფო სამსახურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებისა და თანამშრომლობის მიზნით.

ფრანკფურტის ტურისტული გამოფენა „IMEX 2017“ მსოფლიოში საქმიანი ტურიზმის კუთხით უმნიშვნელოვანესი გამოფენაა, რომელშიც მონაწილეობას MICE ტურიზმით დაინტერესებული უმსხვილესი კომპანები და ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ღებულობენ. ყოველწლიურად გამოფენას 3,500-ზე მეტი მონაწილე საერთაშორისო სასტუმრო ქსელებიდან, საკონვენციო ბიუროებიდან, ავიაკომპანიებიდან, ტურიზმის სახელმწიფო ორგანიზებიდან და კონკრეტული ტურისტული მიმართულებების სარეკლამო კომპანიებიდან სტუმრობს.

მიმდინარე წელს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული შესაძლებლობები 15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში წარადგინა.

გადოების გარკვეული ნაწილის წუწუნი: ლიდერი არ ჩანს, რომ გავყვეთო!

დღევანდელი განწყობით, ჭეშმარიტი ლიდერი არ გამოჩნდება, რადგან, ერში სიტუაციის არსებითად შეცვლის განწყობა არ არის — ყველა ჩირგვშია დამალული და იქიდან იკბინება.

ჭეშმარიტი ლიდერი (არ მომწონს ეს სიტყვა, მე უფრო „წინამძღოლი“ მირჩევნია) მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა ერში რეალობის შეცვლის სურვილი მომწიფდება, როცა გასაქანი არა მოლაყბეებს და 30 ვერცხლზე გაყიდულებს, არამედ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ღვთისმოშიშ ადამიანებს მიეცემათ — ურწმუნო, ხარბი, ყველა უსინდისობაზე ხელის მომწერი ადამიანები ხელისუფლებას (პოლიტიკას) მომავალში მაინც არ უნდა გავაკაროთ!

თუ ადამიანს ღვთის რწმენა და ქვეყნის სიყვარული არა აქვს, ის ყოველთვის უცხო თესლის სამსახურში იქნება!

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების წინააღმდეგობრივი პროცესის სტრატეგიულად სწორი მიმართულებით წარმართვისთვის საჭიროა შეიქმნას საზოგადოებრივი დარბაზი — მოსახლეობის უმრავლესობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც პროფესიონალებით იქნება დაკომპლექტებული და შეიმუშავებს სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიას და პროგრამას. ცხადია, ეს ყველაფერი ეროვნულ ფესვებზე უნდა აღმოცენდეს — ახალი გამოწვევების თავისებურებების გათვალისწინებით!

დღეს საზოგადოებრივი ერთობა ახალ მამოძრავებელ ძალად უნდა იქცეს — ვირტუალური სივრციდან უნდა გამოვიყვანოთ სოციალურად აქტიური ადამიანები, რომელნიც ობიექტურად აფასებენ რეალობას და მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ ახალი, თვისობრივად ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებაში.

ნებისმიერმა ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, **რომ ხალხი ნახირი არ არის, რომელსაც საითაც გინდა, იქით გადარეკავ და თუ მოგინდა, ხრამშიც გადაჩეხავ კიდეც!!!**

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული საზოგადოება კონსტიტუციაში შესატან არსებით ცვლილებებს ყოველთვის ინერტულად ხვდებოდა, რაც ხელისუფლებას დანაშაულებრივი ქმედებების ხელშემწყობ გარემოს უქმნიდა.

ახლა მაინც გვმართებს მწარე გაკვეთილებიდან დასკვნების გამოტანა!

სამწუხაროდ, იმედები კიდევ ერთხელ გამიცრუა 15 მაისს ფილარმონიაში საკონსტიტუციო ცვლილებების „განხილვისთვის“ გამიზნულმა სახელდახელო შეკრებამ, რომელიც წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციის ფონზე დაიწყო და ლოგიკურად ჩაშლითა და პარლამენტის თავმჯდომარის მიერ პროტესტის ნიშნად დარბაზის დატოვებით დასრულდა.

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ასეთი პროვოკაციები ახალგამოჩეკილ კონსტიტუციონალისტთა (ცვლილებების ავტორთა) გეგმაშიც შედის, რადგან მათ ხალხის აზრი არ აინტერესებთ და ყველაფერს აკთებენ იმისთვის, რომ თავიანთი (უცხოეთიდან თავსმოხვეული) ვარიანტი „გააპრავონ“.

ირაკლი კობახიძის უხეიროდ დაზეპირებულმა სიტყვებმა — **„კომუნისტების დრო არ დაბრუნდება“, „პოპულიზმის დრო არ დაბრუნდება“, „ჩვენ ცოდნის გზით უნდა ვიაროთ“, „ჩვენ ილიას გზით უნდა ვიაროთ“** და პარლამენტის თავმჯდომარისთვის უჩვეულო ჟესტიკულაციამ, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ პოპულიზმის დრო კი არ დასრულდა, პირიქით, დღეს შენიღბული ფორმით კიდევ უფრო იჩინა თავი...

ვფიქრობ, ახლაც ხელიდან გავუშვით შანსი, როცა მძაფრი რეაქცია არ გამოვხატეთ საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ, რომელიც უახლოეს მომავალში არა მარტო დიდ თავსატეხად, არამედ ერის მომაკვდინებელ შხამად შეიძლება იქცეს!

P.S. **დღევანდელ კრიტიკულ სიტუაციაში გაჩუმება ღალატის ტოლფასია — ყველაფერი არ უნდა გადავყლაპოთ, თორემ ერთხელაც იქნება და ძვალი ყელში გაგვეჩხირება.**

პატრიოტულ აღტყინებას, თუკი მას გონივრულ კალაპოტში მოვაქცევთ, ყოველთვის მოაქვს ეროვნულ ინტერესებს მისადაგებული შედეგი!

ზაურ ნაჭყებია

ქვეყნისადმი ერთგულებით გამორჩეული

აფხაზეთის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელს, ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქეს, ილია ვეკუას სახელობის ინსტიტუტის რექტორს, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ფაზისის საერო აკადემიის წევრს, ღირსების ორდენის კავალერს

ბატონ რამინ აბლოთიას

ბატონო რამინ,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

თქვენი მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია, აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მისაბაძი მაგალითია მომავალი თაობებისთვის.

ფასდაუდებელია თქვენი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ინსტიტუტის დევნილობაში ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მამულიშვილური თანადგომა სოციალურად შეჭირვებული დევნილი სტუდენტებისადმი, რომელთა ნიჭისა და ერუდიციის წარმოსაჩენად მუდმივად პოულობთ საინტერესო გზებსა და საშუალებებს. თქვენ იმსახურებთ განსაკუთრებულ პატივისცემას, როგორც მეცნიერი, უმაღლესი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების ნიჭიერი ორგანიზატორი და, რაც მთავარია, როგორც ჩვენი ქვეყნის პატრიოტი და ღირსეული მამულიშვილი.

თქვენ, საკუთარი გამოცდილებით, ცოდნითა და ინტელექტით, ბრძანდებით ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს ადამიანი საკუთარი ხალხისა და ქვეყნის სამსახურში. თქვენი ბიოგრაფიით, დაუშრეტელი ენერგიით, განათლებით, კეთილი საქმეებით დამსახურებულად გიჭირავთ საპატიო ადგილი აფხაზეთის ღირსეულ წარმომადგენელთა კოჰორტაში.

ბატონო რამინ,

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაუღალავი შრომით, ქვეყნისადმი ერთგულებით და გამორჩეული ცხოვრების წესით მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს განძს — საზოგადოების პატივისცემას, რომელიც გვირგვინად ადგას თქვენ მიერ სახელოვნად განვლილი ცხოვრების 80-წლიან გზას.

გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, დღეგრძელობას, ოჯახურ ბედნიერებას, ახალი, საინტერესო ჩანაფიქრების წარმატებით განხორციელებას!

გფარავდეთ უფალი!

პატივისცემით,
აფხაზეთის მთავრობის სახელით
ვახტანგ ყოლბაია;
აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სახელით
ელგუჯა გვაზავა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი

ურთულესი ცხოვრების გზა განვლო ბატონმა რამინ აბლოთიამ, რომ არაფერი ვთქვათ დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი წლების უმძიმეს ყოფაზე, მოსკოვში სწავლის წლებზე, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში. ამის შემდეგ შრომითი საქმიანობა ტყვარჩელში, გალსა და სოხუმში სხვადასხვა თანამდებობაზე, ამ პერიოდში ცხოვრების შუაგულში წარმატებული საქმიანობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდში ყოფნა, დიდი მონდომებითა და მოთმინებით აღმასვლა კარიერულ კიბეზე...

ყველაზე რთული, მრავალწახნაგოვანი გამოდგა ცხოვრების ის პერიოდი, რომელიც დევნილობას ეხება, მან საკუთარი თვალით დაინახა, თუ რამდენად რთული და მოულოდნელობებით აღსავსეა გზა, რომელიც ბედმა მოუვლინა:

ბატონი რამინი საქართველოს ნიკო ნიკოლაძის (სოხუმის აკად. ი. ვეკუას) სახელობის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, ფაზისის აკადემიის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის და 2000 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი, უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო შრომების მთავარი რედაქტორი, გაზეთ „დიოსკურიისა“ და ჟურნალ „მედიკოსის“ დამაარსებელი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ალმანახ „კარიბჭის“ და „კირბისის“ რედკოლეგიის წევრი, ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, საზოგადოებების „სამურზაყანოსა“ და „სოხუმის“ საპატიო წევრი. მრავალი სახელმძღვანელოსა და მეთოდური ნაშრომის ავტორი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

დაიბადა გალის რაიონის სოფელ თაგილონში 1937 წელს, დაამთავრა გალის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა, 1965 წელს კი შვერნიკის სახელობის მოსკოვის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის აკადემია, შემდგომ — მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა, არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

რ. აბლოთია 1980 წლიდან დოცენტია, 1991 წლიდან — პროფესორი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონში, ქალაქებში — გალში, ტყვარჩელსა და სოხუმში.

იმყოფებოდა ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე ტყვარჩელში, 1962 წელს აირჩიეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის გალის რაიკომის თავმჯდომარედ, 1967 წელს კი — სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ. შემდეგ, სახელმწიფო დაწესებულებების პროფკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ. რამდენიმე წელი მუშაობდა აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს აპარატში.

1974 წლიდან იწყებს პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, სადაც გაიარა ეტაპები უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის, კათედრის გამგისა და პრორექტორის (1991-1992 წ.წ.), საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფაკულტეტის დეკანის, შემდგომში კი მისი პრორექტორისა. მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებში, თეორიული და კონკრეტული ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე. 1988 წელს მოსკოვში მოხსენებით გამოვიდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტისა და მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, რომელიც ნაშრომებად დაიბეჭდა.

რამინ აბლოთიას მეცნიერული კვლევის ინტერესს ძირითადად თეორიული ეკონომიკა წარმოადგენს, კერძოდ, ისეთი პრობლემები, როგორიცაა შრომის ეკონომიკა, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები, შრომის ხასიათი და მისი თვისებები კონკრეტული ეკონომიკის აქტუალურ ამოცანებთან კონტექსტში. მის შრომებში თეორიული პრობლემების განზოგადება ხდება საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პირობების რეალური მდგომარეობის ღრმად შესწავლის საფუძველზე. ამ და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 65 სტატია და 5 მონოგრაფია, ერთი სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში. გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის და ეკონომიკით დაინტერესებულ პირთათვის „თეორიული ეკონომიკის საფუძვლებში“, პროფესორ დავით ჯიშკარიანთან ერთად. გამოცემული აქვს ისტორიული გამოკვლევა „ჯანდაცვის განვითარების საკითხებისათვის აფხაზეთში“, პროფესორ რევაზ სალიასთან ერთად კი — მეთოდური ხასიათის ნაშრომები „ლექტორის ხელოვნება“ და „სტუდენტის ცნობარი“.

1991 წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა სოხუმის აკადემიკოს ილია ვეკუას

სახელობის უნივერსიტეტი, რომელმაც მოკლე პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და საქართველოს კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე მრავალპროფილიანი კადრების მძლავრი მომზადების კერა გახდა. იგი 1994 წელს, აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების შემდგომ, განთავსდა ქ. ფოთში, ფილიალები კი, თბილისსა და ზუგდიდში.

90-იანი წლების კონფლიქტისა და დაპირისპირების პერიოდში, როცა ცხოვრების ნორმალურ პირობებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის საქმიანობა ფოთისა და ზუგდიდის კულტსაგანმანათლებლო საქმიანობის განახლებისა და განვითარების საქმეში, სხვადასხვა მხატვრული კოლექტივების საქმიანობის და სპორტული ღონისძიებების ჩატარების საქმეში ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას ქალაქის სხვადასხვა უბანზე. განსაკუთრებით ეხმარებოდა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლაში გამოირჩეოდნენ, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა უშლიდათ ხელს, ეხმარებოდა დევნილებს მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლების ჩართვით სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, რამაც შესაძლებელი გახადა, ეს უნივერსიტეტი გამხდარიყო რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე კერძო სასწავლებელი, რომელსაც 1994 წლიდან გამოშვებული ჰყავს 17 ათასზე მეტი ექიმი, იურისტი, ეკონომისტი და ფილოლოგი. ისინი საქმიანობენ საქართველოს ყოველ კუთხეში და საზღვარგარეთ, რამდენიმე მათგანი მეცნიერებათა დოქტორია და წარმატებით წყვეტს საჭირბოროტო პრობლემებს.

თავად დიდი ინტელექტის მქონე რამინ აბლოთია ჩართულია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების XXI საუკუნის პოლიტიკურ ბატალიებში. ცდილობს, პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, წვლილი შეიტანოს იმ სურვილის აღსრულებაში, რასაც აფხაზეთში დაბრუნება ჰქვია. ამ იდეითაა გამსჭვალული უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი.

რამინ აბლოთიამ მწერლობაშიც სცადა კალამი, მისი ნაწარმოებები ქვეყნდება ჟურნალ „კარიბჭეში“, „ორნატში“, „ორბეთში“ და ა.შ.

2001 წელს გამოვიდა მისი დოკუმენტური მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული „წარსულის ანარეკლი“, რისთვისაც აკაკი წერეთლის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ბატონმა რამინმა თავისი ენერგია და შესაძლებლობა სრულად მოახმარა განათლების სფეროში ბრძოლას.

პროფესორი რამინ აბლოთია აფხაზეთში, კერძოდ სოხუმში ცხოვრების პერიოდში, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მაქსიმალურად დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური მოსახლეობის ნაწილში სეპარატისტული განწყობა დომინირებდა, ბატონი რამინი შესანიშნავად ურთიერთობდა აფხაზებთან, მის ინტელიგენციასთან ამყარებდა მეგობრულ ურთიერთობას, რაც აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენებამდე გრძელდებოდა.

უნივერსიტეტის დამაარსებელი და რექტორი, ბატონი რამინ აბლოთია, მრწამსით უპირველესად ტიპური პედაგოგია, რომელსაც ახალგაზრდის პიროვნებად ფორმირება უფრო დიდ სამომავლო საქმედ მიაჩნია, ვიდრე გამოუყენებელი ცოდნით მისი დამძიმება. თავის წიგნს „ლექტორის ხელოვნება“, რომლის ავტორობასაც ბატონი რამინი პროფესორ სალიასთან ერთად იზიარებს, წაუმძღვარა დიდი ქართველი განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „ის საუცხოო ციხესიმაგრე, რომელსაც ცოდნა, განათლება, კულტურა, ცივილიზაცია ეწოდება, აგებულია კაცობრიობის საუკეთესო შვილთა, მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე ახლის ძიების, ბრძოლის, დამარცხებისა და წარმატებების შედეგად და მასში შესვლა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც დაჯილდოებულია თავდადებული შრომისმოყვარეობით, სწავლის უშრეტი სიყვარულით, მუდამ წინსვლის გზნებით, უანგარო და სპეტაკი სინდისით“.

პროფესორი რამინ აბლოთია იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომელმაც თავისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა მიუძღვნა ახალგაზრდობის პროფესიულ და კვალიფიციურ აღზრდას, მუდამ რჩებოდა ადამიანური სიყვარულით გაჯერებული, თანაგრძნობითა და მხარდაჭერით აღვსილი, რაც საზოგადოებაში განსაკუთრებულ პატივისცემას და სიმპათიას იმსახურებდა, ბატონი რამინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა 80-წლიანი გადასახედიდან ნათლად მეტყველებს, რომ მისი შემოქმედება ეს არის საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, მენეჯერის ნამდვილი სახე. ბატონ რამინს მხარში უდგას დიდებული ოჯახი — მეუღლე ნანული თოლორია, შვილები — გოჩა და თენგიზი.

ავთანდილ სილაგაძე,
აკადემიკოსი

გარდაქმნისდროინდელი ვარიანტი:

„1941 წლის მაისის ბოლოს მე და ს.კ. ტიმოშენკო სასწრაფოდ გამოგვიძახეს პოლიტბიუროში. მიგვაჩნდა, რომ, ეტყობა, მან, ბოლოს და ბოლოს, მისცა ნებართვა საზღვრისპირა სამხედრო ოლქებს უმაღლესი სამხედრო მზადყოფნისათვის. მაგრამ როგორი იყო ჩვენი გაოცება, როდესაც სტალინმა გვითხრა:

— მოგვმართა გერმანიის ელჩმა ფონ შულენბერგმა და გადმოგვცა გერმანიის მთავრობის თხოვნა, მივცეთ მათ ნება, მოახდინონ ძიება იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრების საფლავებისა, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში დაიღუპნენ ბრძოლებში რუსეთის არმიის მხრიდან. საფლავების ძიებისათვის გერმანელებმა შექმნეს რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ჩამოვლენ პუნქტებში ამ სასაზღვრო რუკის თანახმად. თქვენ მოგიწევთ უზრუნველყოთ ისეთი კონტროლი, რომ გერმანელებმა არ გაავრცელონ თავიანთი ძიება აღნიშნულ რაიონებში უფრო ღრმად და ფართოდ. უბრძანეთ ოლქებს, დაამყარონ მჭიდრო კონტაქტი ჩვენს მესაზღვრეებთან, ვისაც უკვე მიეცათ მითითებები.

ჩვენ შინაგანი გაოცებით გავიხსენეთ ი.ბ. სტალინის ეს სიტყვები. ჩვენ ვიყავით გაოგნებული, ერთი მხრივ, გერმანიის მთავრობის თავხედობითა და ცინიზმით, რომელმაც უცერემონიოდ გადაწყვიტა დაეზვერა ადგილები და საზღვრები უმნიშვნელოვანეს ოპერატიულ მიმართულებებზე, და, მეორე მხრივ, ი.ბ. სტალინის გაუგებარი ნდობის გამო.

ეტყობა, ჟდანოვმა ამოიცნო ჩვენი აზრები და შენიშნა:

— ჩემი აზრით, ამხანაგები მწუხარედ შეხვდნენ გერმანიის მთავრობის თხოვნას. იქნებ გინდათ რაიმეს თქმა?

— გერმანელები უბრალოდ აპირებენ დაათვალიერონ ადგილები, სადაც ისინი დარტყმას მოგვაყენებენ, — ვთქვი მე, — მათი ვერსია კი საფლავების მოძიებასთან დაკავშირებით ძალიან პრიმიტიულია.

სახალხო კომისარმა დაუმატა:

— უკანასკნელ ხანებში გერმანელები ძალიან ხშირად არღვევენ ჩვენს საჰაერო სივრცეს და აწარმოებენ ღრმა ფრენებს ჩვენს ტერიტორიებზე. ჟუკოვსა და მე მიგვაჩნია, რომ უნდა ჩამოვყაროთ გერმანული თვითმფრინავები.

— გერმანიის ელჩმა ჰიტლერის სახელით დაგვარწმუნა, რომ მათ ავიაციაში ძალიან ბევრი ახალგაზრდა ჰყავთ, რომლებიც პროფესიულად სუსტად არიან მომზადებული. ახალგაზრდა მფრინავები ცუდად ახდენენ ორიენტირებას ჰაერში. ამიტომ ელჩმა გვთხოვა, ნუ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას მათს მოხეტიალე თვითმფრინავებს, — გამოთქვა საპირისპირო აზრი ი.ბ.სტალინმა.

ჩვენ არ დავეთანხმეთ ამ დასკვნას და გავაგრძელეთ იმის დადასტურება, რომ თვითმფრინავები მოფიქრებულად დაფრინავენ ჩვენი მნიშვნელოვანი ობიექტების თავზე და ეშვებიან დაუშვებელ სიმაღლემდე, რომ უკეთ დაათვალიერონ ეს ობიექტები.

— რა მოხდა მერე, — თქვა მოულოდნელად ი.ბ. სტალინმა, — ასეთ შემთხვევაში საჭიროა, სასწრაფოდ მოვამზადოთ ნოტა ამ საკითხთან დაკავშირებით და მოვთხოვოთ ჰიტლერს, რომ შეწყვიტოს სამხედროების თვითნებობა. დარწმუნებული არ ვარ, რომ ჰიტლერმა იცის ამ ფრენების შესახებ.

ივნისში გერმანელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავისი ავიაციის დაზვერვითი საქმიანობა. სხვადასხვა დივერსიული და დაზვერვითი ჯგუფები სულ უფრო ხშირად ახდენდნენ ჩვენი საზღვრის გადმოლახვით ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში შემოჭრას.

ოცი წლის შემდეგ კი ეს ციტატები შევა ისტორიკოსების ახალი თაობის წიგნებში. შემდეგ ჩაერთვებიან სახელმძღვანელოებში. **სწორედ ამისთვის მოხდა ჟუკოვის მემუარების ფალსიფიცირება — ესაა გასროლა ჩვენი მომავლისაკენ.**

როდესაც ხელახლა წერენ მთელ ნაწყვეტებს, ზოგჯერ მთელ გვერდებსაც, ისტორიის გამყალბებლები არ თაკილობენ ცოტათი შეასწორონ ჟუკოვი. არ რცხვენიათ იმუშაონ წვრილმანებზეც. აი, ამის ნათელი მაგალითი.

გარდაქმნისდროინდელი ვარიანტი (გამყალბებლების მიერ დამატებული ტექსტი გამოყოფილია):

ი.ბ. სტალინისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის სერიოზული შეცდომა იყო შეუფასებლობა ჩრდილოეთი ფლოტისა, რომელსაც ბედად ეწერა შეესრულებინა უდიდესი როლი, რისთვისაც ის მთლიანად არ იყო მომზადებული. მთლიანად კი ომის წინ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი ახდენდა შთამბეჭდავ შთაბეჭდილებას და ღირსეულად შეხვდა მტერს.

ასევე გასაოცრად განსხვავდება სტალინის სახეები, რომლებსაც აღწერს „ორი ჟუკოვი“ 1941 წლის 22 ივნისის ტრაგიკულ დღეს მე-10 თავში **„ომის დასაწყისი“.** პრინციპი იგივეა: დაემატოს მხოლოდ წვრილი დეტალები, თუმცა როგორ ძლიერად ცვლიან ისინი მკითხველის დამოკიდებულებას წარმოსაჩენი პერსონაჟებისადმი. ჟუკოვი აღწერს, თუ გერმანიის მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ უმალვე როგორ ურეკავს სტალინს — ისიც მცირეოდენი პაუზის შემდეგ უპასუხებს.

გარდაქმნისდროინდელი ვარიანტი (გამყალბებლების მიერ დამატებული ტექსტი გამოყოფილია):

ბოლოს, თითქოს გამოეღვიძაო, ი.ბ. სტალინი შეეკითხა:

— სად არის სახალხო კომისარი?

ფრაზა, „თითქოს გამოეღვიძაო“ — მემუარების თავდაპირველ ვარიანტში არაა.

აი, შემდეგ მაგალითში ფალსიფიკაცია უბრალოდ ფილიგრანულია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-99



გარდაქმნისდროინდელი ვარიანტი (გამყალბებლების მიერ დამატებული ტექსტი გამოყოფილი):

ი.ბ. სტალინი იყო გაფითრებული და ივჯდა მაგიდასთან, ხელში არ ეჭირა თამბაქოთი გატენილი ჩიბუხი (ციტატები გ.ჟუკოვის ზემოხსენებული წიგნიდანაა).

დაუმატეს ერთი სიტყვა. არა სიტყვა, ნაწილაკი. სტალინი კი გამოიყურებოდა სრულიად დაბნეულად და არეულად...

უბრალოდ, არაა შესაძლებლობა, მოვიყვანოთ ყოველივე, რაც გააყალბეს „დესტალინიზატორებმა“ ჟუკოვის მემუარებში. მთელი წიგნი გამოგვივა. კითხულობ ყოველივე ამას და გიკვირს მხოლოდ ერთი რამ: როგორი მასშტაბური ფიგურა უნდა ყოფილიყო სტალინი, რისთვის დასჭირდა მას, ისე ცუდად მოპყრობოდა ყველა ჩვენს გეოპოლიტიკურ მეგობარს, რომ მისი გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ ასე გულდასმით ცდილობდნენ შეერცხვინათ ის?

იმისთვის, რომ გავიგოთ, რატომ ეჯავრებათ რუსეთის მტრებს სტალინი, კვლავ უნდა დავუბრუნდეთ მის ბიოგრაფიას...

6.

სტალინის ბიოგრაფია და ქვეყნის ისტორია: 1938-1943

დროის მთელი პერიოდის განმავლობაში გერმანიისთვის ევროპაში შესაძლებელია მხოლოდ ორი მოკავშირე: ინგლისი და იტალია.
ა. ჰიტლერი. „ჩემი ბრძოლა“

ჩვენ უბრალოდ გვინდოდა ცოცხლები დავრჩენილიყავით, ჩვენს მეზობლებს კი უნდოდათ ვენახეთ მკვდრები. ეს კომპრომისისთვის არ ტოვებდა დიდ შესაძლებლობებს.
გოლდა მეირი.

ომისწინა წლებმა გაიარა სტალინის მცდელობის ნიშნით — თავიდან აეცილებინა მომავალი ომი. სსრ კავშირის ხელმძღვანელობისთვის სცენარი და მიზანი სავსებით ცხადი იყო. ის, რომ ჰიტლერი მიიყვანა ხელისუფლებაში დასავლეთმა, გასაგები და ნათელი იყო სტალინისთვის. და ის ამას მრავალგზის აცხადებდა სავსებით ღიად. ამიტომ, რომ გავიგოთ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ომისწინა პერიოდში, საჭიროა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოქმნილი აგრესიის ფაქტორი, რასაც გულდაგულ ამზადებდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკოსები. განცხადებები იმის შესახებ, რომ სწორედ სტალინი და სსრ კავშირი ცდილობდნენ გაეჩაღებინათ ომი, ეხმარებოდა ნაცისტებს ხელში აეღოთ ხელისუფლება — ეს დაახლოებით იგივეა, რომ დღეს ვამტკიცოთ იმის შესახებ, რომ „ალყაიდა“ და ისლამური ექსტრემისტები ბორის ელცინმა შექმნა მთელი მსოფლიოს ხელში ჩაგდების მიზნით. ასეთი მტკიცების ცხადი სისულელე ნათელი იქნება თანამედროვისთვის — ჩვენ ხომ შესანიშნავად ვიცით, რომ ელცინის რუსეთს არ გააჩნდა ბრძოლის საათანადო რესურსები მსოფლიო ჰეგემონიისათვის. ასეთი რესურსები არ აქვს რუსეთსაც დღეს. აი, იმის შესახებ კი, რომ საბჭოთა კავშირი 1930-იან წლებში სულაც არ იყო ზესახელმწიფო, ბევრს არ ახსოვს და არ იცის.

დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი აიარაღებდა გერმანიას. ასე საუბარი შეიძლება მხოლოდ გაუგებრობის ან სისულელის გამო. საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა სათანადო დონის საკუთარი სამხედრო დამუშავებანი. მაშ, ჩვენი სახელგანთქმული ტანკები და თვითმფრინ.ავები? — იკითხავენ მკითხველები. ისინი იყო, ოღონდ მოგვიანებით. ფაქტები ასეთია — სსრ კავშირისა და გერმანიის თანამშრომლობა გრძელდებოდა მხოლოდ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამდე. და ყველაზე შეზღუდული ოდენობით. ყველა პროგრამა დამუხრუჭდა ფიურერის ბრძანებით 1933 წელს და ურთიერთობა ქვეყნებს შორის მკვეთრად უარესდებოდა. და აი, 1933 წლამდე სსრ კავშირს არანაირი დიდი დამუშავებანი, რისი გადატანაც გერმანელებს შეეძლებოდათ, უბრალოდ არ ჰქონია! ამიტომ გერმანიის შეიარაღება საბჭოთა კავშირს არაფრით არ შეეძლო, და ეს არც არასდროს ხდებოდა.

ერთ-ერთი ცნობილი რადიოს ქალ ჟურნალისტს უყვარს სხვა პოპულარულ ლიბერალურ გარემოში იმეორებდეს სიცრუეს — თითქოს სსრ კავშირი ასწავლიდა გერმანელ მფრინავებსა და ტანკისტებს. ასეთი სწავლება რომ განახორციელო, საჭიროა, გქონდეს თეორია, რომელიც სსრ კავშირში არ ყოფილა უბრალო მიზეზის გამო: არ ყოფილა სამამულო წარმოების ტანკები და სათანადო დონის თვითმფრინავები. იმ დროის მოწინავე მოდელები მთლიანად ინგლისური და ფრანგულია. ესე იგი საბჭოთა მფრინავებსა და ტანკისტებს არაფერი შეეძლოთ, რომ ესწავლებინათ გერმანელი კოლეგებისათვის. რა იყო რეალურად? სსრ კავშირმა მისცა ტერიტორია, გერმანელებს კი, რომლებსაც ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, არ ჰქონდათ უფლება ჰქონებოდათ მძიმე შეიარაღება, ტექნიკის უახლესი ნიმუშები ჩამოიტანეს ჩვენთან. და ჩვენ მათთან ერთად ვსწავლობდით უახლესი სამხედრო ტექნიკის მაშინდელი ნიმუშების გამოყენებას. 1933 წელს ეს ყველაფერი დამთავრდა. თანამშრომლობის შედეგი ყაზანში სატანკო სკოლაში იყო გერმანელ მსმენელთა სამი გამოშვება: 1929-1930 წლებში — 10, 193!-1932 წლებში — 11 და 1933 წელს — 9 კაცისა. მთლიანად 30 კურსანტისა. უნდა დაგვეთანხმოთ, რომ ეს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ცოტაა მესამე რაიხის მთელი სატანკო ჯარებისათვის.

ლიპეცკში საფრენოსნო სკოლა მუშაობდა. სრულფასოვანი მეცადინეობანი დაიწყო მხოლოდ 1926 წლის მეორე ნახევარში. მიაქციეთ ყურადღება — საავიაციო სკოლის პარკში მხოლოდ უცხოური თვითმფრინავებია: 34 გამანადგურებელი „ფოკერი“, 8 მზვერავი „ხეინკელი“, სასწავლო თვითმფრინავები „ალბატროსი“, „ ხეინ-

კელი“, „იუნკერსი“ და კიდევ ერთი სატრანსპორტო „იუნკერსი“. რატომ? იმიტომ, რომ 1926 წელს „აგრესიულ“ და „მსოფლიო ბატონობის მსურველ“ სსრ კავშირს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესაძლებლობა, ეწარმოებინა კარგი თვითმფრინავები. ინდუსტრიალიზაცია კი ხომ ჯერ კიდევ წინ იყო. 1932 წლისთვის ავიასკოლის რიცხოვნობამ 303 კაცს მიაღწია, მათ შორის გერმანელი იყო 43, საბჭოთა სამხედრო მფრინავი — 26, საბჭოთა მუშა, ტექნიკოსი და თანამშრომელი — 234. სულ ლიპეცკის სკოლაში ასწავლეს ან გადაამზადეს 120 გერმანელი მფრინავი-გამანადგურებელი და 100 მფრინავი-მეთვალყურე. ერთი ციცქნაა! გერმანელი მფრინავების ძირითად ნაწილს მოამზადებენ თავად გერმანიის ტერიტორიაზე — სამოქალაქო მფრინავების სახით — სამოქალაქო ავიაციაში გერმანიაში ეს ხომ არ იყო აკრძალული. 1932 წლისთვის არალეგალურ სამხედრო ავიასკოლებში ბრაუნშვეიგსა და რეხლინში მოამზადეს დაახლოებით 2000 მომავალი პილოტი ლიუვტვაფე.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ
(გაგრძელება იქნება)

დევიდ კრამერი: საქართველოს აშშ-ის მხარდაჭერა ყოველთვის ექნება

ამერიკაში საქართველოს მიმართ ორპარტიული მხარდაჭერა გრძელდება, რაზეც კონგრესისა და ადმინისტრაციის მიერ გადადგმული უკანასკნელი ნაბიჯები მეტყველებს. თუმცა, საქართველომ ამ მხარდაჭერის გასაძლიერებლად და შესანარჩუნებლად მუშაობა უნდა გააგრძელოს – აცხადებს ამერიკის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მეორე მოადგილე **დევიდ კრამერი**. მას ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებზე ვაშინგტონში **„ამერიკის ხმის“** ჟურნალისტი ესაუბრა.

– ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან საქართველოს და მთლიანად რეგიონის მიმართ დამოკიდებულებაში არის თუ არა რაიმე ისეთი, რაც გაწუხებთ?

– ყველაზე მეტად ის მაწუხებს, თუ რას იზამს რუსეთი. საქართველოში რუსეთი აგრძელებს მცოცავ ანექსიას, არის უწყვეტი მცდელობა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანონ. ვფიქრობ, რუსეთის მხრიდან პროვოკაციებს უნდა ველოდოთ. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ვაშინგტონში ახალმა ადმინისტრაციამ, რაც შეიძება მალე, გააკეთოს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის მიმართ შემუშავებული პოლიტიკის არტიკულირება, რომ ეს ქვეყნები იმ რუხი ზონიდან გამოვიდნენ, რომელშიც დღეს არიან.

– სად ხედავთ ამ პოლიტიკის შემუშავებაში კონგრესის როლს?

– კონგრესის როლი დღემდე ძალიან დადებითია. სულ რამდენიმე დღის წინ კონგრესმა ორპარტიული წერილი გაუგზავნა პრეზიდენტს, სადაც საქართველოს მხარდაჭერას და თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკების დაწყებას სთხოვდა. კონგრესში კარგად ესმით საქართველოს მნიშვნელობა ამერიკისთვის. არ მგონია აქ რამე შეიცვალოს. საქართველოს ყოველთვის ეყოლება მეგობრები ორივე პარტიის რიგებში. თუმცა, ეს საქართველომ არ უნდა მიიღოს როგორც რაღაც ისეთი, რაც ეკუთვნის. ამ ურთიერთობას მოვლა და შენარჩუნება სჭირდება. საელჩომ უნდა გააგრძელოს კონგრესთან აქტიური ურთიერთობა, მთავრობის წევრები კი ყოველთვის, შეძლებისდაგვარად, უნდა ეწვიონ კონგრესს, როცა ვაშინგტონში არიან.

– თქვენ მცოცავი ანექსია და რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე უწყვეტი თავდასხმები ახსენეთ. რა შეიძლება გაკეთდეს ამ პროცესის შესაჩერებლად?

– ამას ევროპელების, ამერიკის, კანადის, იაპონიის და სხვა დემოკრატიების ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება. რუსეთს მუდმივად უნდა შვახსენოთ ის, რომ მან არ შეასრულა 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. პასპორტიზაციით და მცოცავი ანექსიით რუსეთი ამ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს საქართველოსთან კავშირის გზებს უჭრის. ჩვენ მკაფიოდ უნდა გავაგებინოთ რუსეთს, რომ არასოდეს ვაღიარებთ ამ რეგიონების ამჟამინდელ მდგომარეობას და არასოდეს ვაღიარებთ მათ რუსეთში გაერთიანებას. ეს არის კონფლიქტური სიტუაცია, სადაც რუსეთს ეკისრება პასუხისმგებლობა. ეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევაა. რუსეთს ასევე უნდა გავაგებინოთ, რომ თუ ვითარება დაიძაბა, რუსეთს შეიძლება სანქციები დაუწესდეს.

– ამ მიმართულებით ვაშინგტონის მხრიდან ნაბიჯებს ხედავთ?

– ჯერჯერობით არა. უკრაინის შემთხვევაში წინა ადმინისტრაციის დროს იყო მცდელობა რუსეთთან კომუნიკაციის პირდაპირი არხი ყოფილიყო, თუმცა ამან დიდი შედეგი ვერ მოიტანა. საქართველოს შემთხვევაში ამ მიმართულებით ჯერ არაფერი გამიგია.

– რუსეთის მიმართ პოლიტიკის შემუშავება ნელი ტემპით მიმდინარეობს. როგორ ფიქრობთ, დრო წარმოადგენს თუ არა მნიშვნელოვან ფაქტორს საქართველოსთვის? არის თუ არა საშიშროება, რომ საქართველოს შესაძლოა, მეტი ზიანი მიადგეს რუსეთის პოლიტიკის შემუშავების გაჭიანურების შემთხვევაში?

– პრობლემა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის დროს დაიწყო. მაშინ გვქონდა პოლიტიკა, რომელიც რუსეთზე იყო მორგებული. ეს პოლიტიკა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამდე დარჩა ძალაში. ტრამპის ადმინისტრაციის დასაწყისში ეს თითქოს გრძელდება – სახელმწიფო მდივანი ტილერსონი მოსკოვში ჩავიდა, მაგრამ კიევში ან თბილისში მსგავსი ვიზიტები არ ყოფილა. სწორედ აქ შეუძლია კონგრესს ძალიან მნიშვნელოვანი როლის თამაში იმაში დარწმუნებით, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის ხარჯზე არ მოხდეს.

– საქართველოს შეუძლია ქვეყნის შიგნით რამის გაკეთება იმისთვის, რომ ადმინისტრაციას ამერიკისთვის საკუთარი მნიშვნელობა დაანახოს?

– ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში ყველა პოლიტიკურმა ძალამ გაიგოს ის, რომ საქართველოს ევროპასთან სიახლოვით უკეთესი მომავალი ექნება. ეს არ ნიშნავს საქართველოს რუსეთისგან გათიშვას. რუსეთი ყოველთვის საქართველოს მეზობელი იქნება. თუ საქართველოს წარმატების მიღწევა უნდა, რამდენიმე ეროვნული მნიშვნელობის თემაზე, როგორიცაა ევროინტეგრაცია, ქვეყანაში პოლიტიკური ერთობა უნდა არსებობდეს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დასავლეთმა საქართველოში უნდა დაინახოს.

რაულ ხაჯიმბა გაეროს კოორდინატორს ჭკუას ასწავლის!

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივ წარმომადგენელს, გაეროს მუდმივ კოორდინატორ ნილს სკოტს შეხვდა. დე ფაქტო პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრაზე ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ „აფხაზეთსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის საკითხთა ფართო სპექტრი განიხილება“ და იმედი გამოთქვა, რომ „გაერო სამომავლოდაც ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს რესპუბლიკას“.

თავის მხრივ, ნილს სკოტმა აღნიშნა, რომ „სახეზეა გაეროს მიერ აფხაზეთისთვის გაწეული დახმარების კონკრეტული შედეგები, კერძოდ, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში“.

„არსებობს თვალნათელი მიღწევები, რომელთაც სარგებელი მოაქვს. იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ იმ საკითხების გადაჭრას, რომელთაც განვიხილავთ“, – აღნიშნა მან.

საპასუხოდ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ **„საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა და დახმარება აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე სრულფასოვანი ვერ იქნება“.**

„არ მსურს, გაწყენინოთ, ჩვენ ხომ კარგი ურთიერთობები გვაქვს, თუმცა მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ეს პროცესი უსასრულო იქნება, სანამ შესაბამის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს არ ჩამოვაყალიბებთ. საქართველო იძულებული იქნება, აფხაზეთი აღიაროს და მაშინ დიალოგი სულ სხვაგვარად წარიმართება. ჩვენ მადლიერები ვართ საერთაშორისო თანამეგობრობის გაწეული დახმარების გამო, მაგრამ ეს დახმარება უსასრულო ვერ იქნება. რესპუბლიკამ უნდა დაიწყოს და შეუძლია კიდეც, განვითარდეს დამოუკიდებლად. სადღეისოდ რუსეთის ფედერაცია ასევე მნიშვნელოვან დახმარებას უწევს აფხაზეთის რესპუბლიკას, თუმცა უსასრულოდ ვერც ეს გაგრძელდება. ეს დახმარება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია: ის გვაძლევს შესაძლებლობას, ფეხზე დავდგეთ. მაგრამ ეს დახმარება ყოველთვის არ იქნება, ამდენად, ჩვენ საკუთარი ძალების, საკუთარი შესაძლებლობების იმედზე უნდა ვიყოთ და შევქმნათ პირობები ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის“, – დასძინა ხაჯიმბამ.

შეხვედრას აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვეც ესწრებოდა.

სააკაშვილს მოქალაქეობის გარეშე დარჩენა ემუქრება

უკრაინული ტელეკომპანია ZIK-ის ეთერში, თოქ-შოუ „Наша Украïна“-ს წამყვანი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ უკრაინის პრეზიდენტმა შესაბამის სამსახურებს, მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის მიზნით, მასალების მოძიება დაავალა.

საქართველოს ექსპრეზიდენტი და ოდესის ექსგუბერნატორი აცხადებს, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევისთვის მასალების მოძიების პროცედურა დაწყებულია საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის, დავით საყვარელიძის წინააღმდეგ, რომელსაც ასევე უკარაინის გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

„მე ერთ-ერთი მათგანი ვარ უკრაინის იმ ცოტა პოლიტიკოსს შორის, ვისაც მხოლოდ უკრაინის პასპორტი აქვს. ამას გარდა, იგი საქართველოში ამ ერთადერთი მიზნით, ოფიციალური ვიზიტით, რომ თბილისში მათ მოელაპარაკოს, იქნებ რაიმე ყალბი დოკუმენტი მომზადდეს, რომლის საშუალებითაც შეძლებს მოქალაქეობის ჩამორთმევას. ბატონო პრეზიდენტო, მე ეს ყველაფერი ვიცი და მინდა, გითხრათ, რომ არაა საჭირო ამ მინიშნებების გამოგზავნა, რაც არ უნდა გააკეთოთ, არ შევწყვეტ სიმართლის ლაპარაკს“, – ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

როგორც ცნობილია, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მიხიელ სააკაშვილის, დავით საყვარელიძის და სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო, თუმცა ყოფილმა მაღალჩინოსნებმა თავი უკრაინას შეაფარეს. ექსპრეზიდენტმა საქართველო 2013 წელს დატოვა, პროკურატურამ მას რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალი დაუსწრებლად წაუყენა.

კერძოდ, საუბარია 5 მილიონი აშშ დოლარის გაფლანგვაზე, რომელიც სააკაშვილმა პირადი მიზნებისთვის დახარჯა. სააკაშვილი სისხლის სამართლის კოდექსის ოთხი მუხლით იძებნება. დაპატიმრების შემთხვევაში მას 11-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

რაც შეეხება მოქალაქეობის ჩამორთმევის პროცედურას, ისევე როგორც მინიჭებას, კანონმდებლობაში დეტალურად არის გაწერილი. როგორც წესი, მოქალაქეობის მინიჭება ყველა ქვეყანაში უფრო იოლი პროცედურაა, ვიდრე ჩამორთმევა. ეს პროცედურა ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში გაცილებით რთულია.

for.ge-სთან საუბრისას საქართველოს განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი **ირაკლი გოგავა,** აცხადებს, რომ სააკაშვილის საკმაოდ აგრესიული ქმედებები არ შეესაბამება იმ გეგმებს, რაც უკრაინის მმართველ ელიტას ჰქონდა. სააკაშვილი, რომელიც სერიოზული დისკომფორტი იყო თავიდანვე, კონტროლირებადი არ არის.

„მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილი დადის და უბუნტებს ხალხს. ცხადია, რომ უკრაინის მმართველ ელიტას ეს არ მოსწონს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ სააკაშვილი კონტროლის ქვეშ იქნებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ამას ისინი ვერ ახერხებენ, რადგან კონტროლიდან არის გასული. თავდაპირველად პოროშენკოს გეგმა იყო, რომ სააკაშვილი ყოფილიყო 3-4%-ის ფარგლებში, რათა იულია ტიმოშენკოსთვის წაერთმია ხმები, თუმცა, როგორც ჩანს, ბატონი მიხეილი დაუკრეფავში გადადის და უკვე თავად მმართველ ელიტასაც აზარალებს თავისი რიტორიკით“, – აცხადებს ირაკლი გოგავა.

მისივე თქით, კონტროლიდან გასული სააკაშვილი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგეს პოროშენკოსთვის გარდა იმისა, რომ ზედმეტად ამღვრევს წყალს. რაც შეეხება მოქალაქეობის ჩამორთმევას, სააკაშვილი იქნება პირი მოქალაქეობის გარეშე, ეს მისთვის ზედგამოჭრილი სტატუსია. საერთაშორისო სამართლი არეგულირებს მოქალაქეობის გარეშე პირების სამართლებრივ მდგომარეობას, ეს არ ნიშნავს, რომ უკრაინელები გააგდებენ ქვეყნიდან, უბრალოდ, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას საარჩევნო პროცესებში.

კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ სააკაშვილი არის ის ფიგურა, რომელსაც საქართველოში დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი უჭერს მხარს. მისი თქმით, სააკაშვილი უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი ფიგურა დასავლეთისთვის, რადგანაც არც არაფერს წარმოადგენს,

„არა მგონია სააკაშვილის ის ფიგურა იყოს, რომ აშშ და დასავლეთი დღე და ღამე სააკაშვილზე ფიქრობდეს. რაღაცა ძალიან გაბუქებული წარმოდგენა იქმნება ამ კაცზე. სააკაშვილი არის ის ფიგურა, რომელსაც საქართველოში დაახლოებით ნახევარი მილიონი კაცი უჭერს მხარს. აი, ეს არის სააკაშვილი, აქ იწყება და აქ მთავრდება. 2012 წელს გამოჩნდა, რა შეუძლია სააკაშვილს, სულ ეს იყო“, – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

თამთა ქარჩავა

მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

საქართველო
შავი ზღვის გადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში
ტენდერი # ET Vehicles 01-2017
სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა

საქართველო, შემდგომში „შემსყიდველი“ აპირებს ევროპის საინვესტიციო ბანკისგან („ბანკი“) მიღებული სასესხო სახსრების ნაწილი გამოიყენოს **სატრანსპორტო საშუალებების** შესყიდვაზე, **შავი ზღვის გადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში**.

შემსყიდველი იწვევს მომწოდებლებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული, ქვემოთ წარმოდგენილი კონტრაქტებისთვის (შემდგომში: „კონტრაქტები“), რომელთა დაფინანსება გათვალისწინებულია სასესხო სახსრების ნაწილით. კონტრაქტები დაკავშირებულია **ორ (2) ლოტთან (I და II)**. მოცემული პაკეტის (და აღნიშნული ლოტების) ფარგლებში განხორციელდება ქვემოთ წარმოდგენილი შემდეგი საქონლის მოწოდება:

ლოტი I – ელექტრომობილი სედანი, წინა წამყვანი თვლებით, რაოდენობა - 5;

ლოტი II – მაღალი გამტარობის (ოთხთვლიანი) ავტომობილი სედანი, რაოდენობა - 1.

ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო წინადადება ნებისმიერი ერთი, ან ორივე ლოტისთვის. თითოეული ლოტის გაფასება უნდა განხორციელდეს ცალ-ცალკე და მათი წარმოდგენა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე დალუქულ სატენდერო წინადადებებში. სატენდერო წინადადების ორივე ლოტზე წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია ფასდაკლების შეთავაზება; აღნიშნული ფასდაკლებები გათვალისწინებული იქნება სატენდერო წინადადებების შედარების პროცესში.

ტენდერი კონტრაქტებისთვის, რომელთა დაფინანსება გათვალისწინებულია ბანკის სასესხო სახსრების ნაწილით, ღიაა ნებისმიერი ქვეყნის კომპანიებისთვის.

თითოეული კონტრაქტის მინიჭებისთვის აუცილებელია, რომ ტენდერში მონაწილეებმა დააკმაყოფილონ ქვემოთ წარმოდგენილი **მინიმალური კრიტერიუმები** (გთხოვთ იხ. სატენდერო დოკუმენტის შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, III ნაწილი).

საშუალო წლიური ბრუნვა

● ძირითადი მომწოდებლის საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს 320,000.00 (სამას ოცი ათასი) ევროს ეკვივალენტს I ლოტისთვის და 30,000 (ოცდაათი ათასი) ევროს ეკვივალენტს II ლოტისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე წარმოადგენს სატენდერო წინადადებას ორივე ლოტისთვის, მოთხოვნებით გათვალისწინებული საშუალო წლიური ბრუნვის კალკულაცია ბოლო სამი (3) წლისთვის, მოხდება ჯამური მონაცემების საფუძველზე.

ფინანსური რესურსები

● ტენდერის მონაწილემ უნდა დაასაბუთოს ხელმისაწვდომობა ლიკვიდურ აქტივებზე, ან ლიკვიდური აქტივების, დავალიანებისგან თავისუფალი უძრავი ქონების, საკრედიტო ხაზების და სხვა ფინანსური საშუალებების ფლობა, რაც საკმარისი იქნება კონტრაქტის ფულადი მიმოქცევის წარმოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; აღნიშნული თანხა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 160,000.00 (ას სამოცი ათასი) ევროს ეკვივალენტს I ლოტისთვის და 15,000 (თხუთმეტი ათასი) ევროს ეკვივალენტს II ლოტისთვის, ტენდერის მონაწილეების მიერ სხვა კონტრაქტების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე წარმოადგენს სატენდერო წინადადებას ორივე ლოტისთვის, მოთხოვნებით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების დაანგარიშება მოხდება ჯამური მონაცემების საფუძველზე.

გამოცდილება

● მომწოდებლის გამოცდილება ბოლო სამი (3) წლის მანძილზე უნდა მოიცავდეს მინიმუმ ორ (2) კონტრაქტს, ხოლო თითოეული ხელშეკრულების ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 128,000.00 (ას ოცდარვა ათასი) ევროს ეკვივალენტს I ლოტისთვის და 12,000 (თორმეტი ათასი) ევროს ეკვივალენტს II ლოტისთვის. აუცილებელია, რომ ზემოთ აღნიშნული კონტრაქტები წარმატებულად და არსებითად იყოს დასრულებული და მოწოდების სფერო იყოს შემოთავაზებული საქონლის ანალოგიური. მსგავსება დაფუძნებული უნდა იყოს ფიზიკურ ზომაზე, სირთულეზე, მეთოდებზე/ტექნოლოგიაზე და სხვა მახასიათებლებზე, ნაწილი 2-ის შესაბამისად: „მოწოდების მოცულობა და ტექნიკური მოთხოვნები“. დამკვეთის სერტიფიკატების, სარეკომენდაციო ნუსხის, ISO სერტიფიკატების წარმოდგენა უნდა მოხდეს სატენდერო წინადადებასთან ერთად, ტენდერის მონაწილეების კვალიფიკაციის დადასტურების მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე წარმოადგენს სატენდერო წინადადებას ორივე ლოტისთვის, გამოცდილების კალკულაცია მოხდება ჯამური მონაცემების საფუძველზე.

სატენდერო დოკუმენტის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ მისამართზე, არ-ანაზღაურებადი 50 ევროს, ან კონვერტირებად ვალუტაში აღნიშნული თანხის ეკვივალენტი მოცულობის თანხის გადახდის საფუძველზე. გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე:

სს „თი-ბი-სი ბანკი“
სვიფტ კოდი: TBCBGE22
ანგარიში: GE81TB7731436130100001
ფინანსური მედიატორი 1:
სს „დოიჩე ბანკი“ (Deutsche Bank AG), ფრანკფურტი/მაინი, გერმანია
სვიფტ კოდი: DEUTDEFF
ანგარიში: ბანკის კოდი (BLZ): 50070010
ფინანსური მედიატორი 2:
სს „კომერცბანკი“ (Commerzbank AG), ფრანკფურტი/მაინი, გერმანია
სვიფტ კოდი: COBADEFF
ანგარიში: ბანკის კოდი (BLZ): 50040000
ფინანსური მედიატორი 3:
სს “რაიფფაიზენ ბანკი” (Raiffeisen Bank International AG), ვენა, ავსტრია
სვიფტ კოდი: RZBAATWW

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე საქართველოს რეზიდენტია, 50 ევროს გადახდა მოხდება აღნიშნული ოდენობის თანხის ეკვივალენტი მოცულობით ლარში. კალკულაცია მოხდება გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედი სავალუტო კურსის საფუძველზე. გადახდა განხორციელდება შემდეგ ანგარიშზე:

GE37TB7731436030100001 (ლარის ანგარიში).

არ-ანაზღაურებადი საზღაურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ, დოკუმენტების გაგზავნა მოხდება დაუყოვნებლივ, კურიერის საშუალებით, თუმცა პასუხისმგებლობა დანაკარგის, ან დაგვიანებული მოწოდებისთვის გათვალისწინებული არ არის. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია დოკუმენტების გაგზავნა ელექტრონულად, ტენდერის სავარაუდო მონაწილის მიერ არ-ანაზღაურებადი საზღაურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ. დოკუმენტების ელექტრონულ და მყარ ვერსიებს შორის არსებული განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება დოკუმენტის მყარ (ბეჭდურ) ვერსიას.

თითოეული სატენდერო წინადადების წარმოდგენა უნდა მოხდეს სატენდერო წინადადების გარანტიასთან ერთად. სატენდერო წინადადების გარანტიის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ:

ლოტი I - 4800 (ოთხი ათას რვაასი) ევრო
ლოტი II –450 (ოთხას ორმოცდაათი) ევრო

სატენდერო წინადადებების წარმოდგენა ოფისში უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე, არა უგვიანეს 2017 წ. 19 ივნისის 15:00 საათისა, ადგილობრივი დროით. აღნიშნულ დღეს და დროს მოხდება სატენდერო წინადადებების გახსნა, ტენდერის მონაწილეების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.

ტენდერის სავარაუდო მონაწილეების ნუსხის ნახვა, რომლებმაც შეისყიდეს სატენდერო დოკუმენტები, შესაძლოა ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

ტენდერის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება, ასევე სატენდერო დოკუმენტების გადახედვა და შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

შპს „ენერგოტრანსი“
ბარათაშვილის ქ. #2
0105, თბილისი, საქართველო
დირექტორი: ბ-ნი კ. სეხნიაშვილი
ტელ.: +995 32 510391
ელ. ფოსტა: m.gikoshvili@energotrans.com.ge

INVITATION FOR TENDER

Georgia
In the framework of the Black-Sea Transmission Network Project
Tender #: ET Vehicles 01-2017
Procurement of Vehicles

Georgia, hereinafter referred to as “the Purchaser”, intends to use part of the proceeds of a loan from the European Investment Bank (EIB) (the Bank) towards the cost of Procurement of **Vehicles** in the framework of **the Black-Sea Transmission Network Project.**

The Purchaser now invites sealed tenders from Suppliers for the following **EIB financed contracts**, hereinafter referred to as “the Contracts”, to be funded from part of the proceeds of the loan. The contracts regard **two (2) Lots (I & II)**. Within this Package (and these Lots) the following goods shall be supplied:

Lot I – Front wheel drive electric sedan vehicles, quantity - 5;

Lot II – Four Wheel Drive sedan vehicle, quantity - 1;

Tenderers are allowed to submit their Tender(s) for any one or both of the above mentioned Lots. Each lot must be priced separately and shall be submitted in separate sealed Tenders. Tenders for both lots may offer discounts and such discounts will be considered in the comparison of tenders.

Tendering for contracts that are to be financed with the proceeds of a loan from the Bank is open to firms from any country.

To be qualified for the award of each of the contracts, Tenderers must satisfy the following **minimum criteria** (please refer to Section III Evaluation and Qualification Criteria of the Tender Document):

Average Annual Turnover

● Average annual turnover as prime Supplier over the last three (3) years of Euro 320,000.00 (three hundred twenty thousand) equivalent for Lot I and Euro 30,000.00 (thirty thousand) equivalent for Lot II.

In case a Tenderer submits Tenders for both lots, the required Average Annual Turnover for the last three (3) years shall be calculated accumulatively

Financial Resources

● The Tenderer shall demonstrate that they have access to, or have available, liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means sufficient to meet the production cash flow for the contract estimated as not less than Euro 160,000.00 (one hundred sixty thousand) equivalent for Lot I and Euro 15,000.00 (fifteen thousand) equivalent for Lot II, taking into account the Tenderer’s commitments for other contracts.

In case a Tenderer submits Tenders for both lots, the required Financial Resources shall be calculated accumulatively.

Experience

● Experience as Supplier, in at least two (2) contracts within the last three (3) years, each with a value of at least Euro 128,000.00 (one hundred twenty eight thousand) equivalent for Lot I and Euro 12,000.00 (twelve thousand) equivalent for Lot II, that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Goods. The similarity shall be based on the physical size, complexity, methods/technology or other characteristics as described Part 2. Scope of Supply and Technical Requirements. Employer’s Certificates, reference lists, ISO Certificates shall be provided with Tender for the evidence of Qualification.

In case a Tenderer submits Tenders for both lots, the Experience shall be calculated accumulatively.

The Tender Document may be obtained from the office at the address below, upon payment of a non-refundable fee of Euro 50 or equivalent in a convertible currency. The fee has to be paid on the following account:

JSC TBC BANK
Swift: TBCBGE22
Account: GE81TB7731436130100001
Intermediary 1:
Deutsche Bank AG, Frankfurt/Main, Germany
Swift: DEUTDEFF
Account: BLZ: 50070010
Intermediary 2:
Commerzbank AG, Frankfurt/Main, Germany
Swift: COBADEFF
BLZ: 50040000
Intermediary 3:
Raiffeisen Bank International AG, Vienna Austria
Swift: RZBAATWW

In case when the Tenderer is a Georgian resident the payment of Euro 50 shall be made in GEL calculated based on the exchange rate of the National Bank of Georgia on the date of payment. The payment shall be made on the following account:

GE37TB7731436030100001 (GEL account).

Upon receiving appropriate evidence of payment of the non-refundable fee, the documents will be promptly dispatched by courier; however, no liability can be accepted for loss or late delivery. If requested the documents can also be dispatched electronically after the presentation by the prospective tenderer of appropriate evidence of payment of the non-refundable fee. In the event of discrepancy between electronic and hard copies of the documents, the hard copy shall prevail.

All tenders must be accompanied by a tender security. The amount of the Tender Security shall be not less than

LOT I - Euro 4800 (four thousand eight hundred)
LOT II – Euro 450 (four hundred fifty)

Tenders must be delivered to the office at the address below on or before 15:00 p.m. local time, on June 19, 2017, at which time they will be opened, in the presence of those tenderers’ representatives who choose to attend.

A register of potential tenderers who have purchased the tender documents may be inspected at the address below.

Prospective tenderers may obtain further information from, and also inspect and acquire the tender documents at, the following office:

Energotrans Ltd.
2, Baratashvili Street
Tbilisi 0105, Georgia
Attention:
Mr. K. Sekhniashvili
Director
Tel.: +995 32 510391
Mail: m.gikoshvili@energotrans.com.ge

◎ მოვლენა

პირველად - თბილისში

თბილისის ოლიმპიური სასახლე უშუს ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კონტინენტის პირველობა სპორტის ამ სახეობაში პირველად ტარდება.

ევროპის ჩემპიონატში 28 ქვეყნის 800-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს.



ტურნირის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს მოწვეულ სტუმრებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი დაესწრო. ჯერ ასპარეზობა სახეობა ვინჩუნჩში მოეწყო, ხოლო ამჯერად სპორტსმენები ტრადიციულ უშუში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ფორუმის მხარდამჭერები არიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, ჩემპიონატი კი ტარდება საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით.

მნიშვნელოვანია , რომ ჩემპიონატი ხორციელდება პროექტის – „Check in Georgia“ ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია, რომ კონტინენტის პირველობასთან დაკავშირებით ჩინეთის საელჩომ უშუს ეროვნულ ფედერაციას ორი ძვირადღირებული საშეჯიბრო ხალიჩა გადასცა.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

ბათუმმა მედლები და საგზურები გაანაწილა

აჭარის დედაქალაქში დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც ყველა რეგიონის 300 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ჩემპიონებმა მსოფლიოს, ხოლო ვერცხლის პრიზიორებმა ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვეს. 8-14 წლამდელებში ჩემპიონები გახდნენ: **8-წლამდელები.** ანასტასია კირთაძე (ქუთაისი, 8.5) და გიორგი გიორგაძე (ქუთაისი, 8), **10-წლამდელები.** ხატია მახათაძე (ზესტაფონი, 7) და ლადო მაღლაკელიძე (ბაღდათი, 7.5), **12-წლამდელები.** დიანა ლომაია (ფოთი, 7) და ლევან დალბაშვილი (საგარეჯო, 6.5), **14-წლამდელები.** თამარ ესაძე (ქუთაისი, 7.5).

დანარჩენ ორ ასაკში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **16-წლამდელები. გოგონები.** 1. სალომე სანიკიძე (თბილისი, 7), 2. მაია ბეჭვაია (ზუგდიდი, 7), 3. ანასტასია სიდამონიძე (თბილისი, 6.5); **ვაჟები.** 1. ნიკოლოზ პეტრიაშვილი (თბილისი, 8.5), 2. ნიკა ხვადაგიანი (ქუთაისი, 6), 3. ლუკა ობოლაძე (თბილისი, 6). **18-წლამდელები. გოგონები.** 1. ნინო ჯალაღონია (ქუთაისი, 8), 2. მარიამ ჯანიაშვილი(თბილისი, 7.5), 3. ანი ჭანტურია (ფოთი, 7); **ვაჟები.** 1. ირაკლი ახვლედიანი (ბათუმი, 9.5), 2. გურამ კოკაია (ქუთაისი, 8.5), 3. ნიკოლოზ ცომაია (თბილისი, 7.5).

თამაზ პატარიძე

ნიკოლოზობა „ბრიტანიკაში“

ქართულ-ინგლისურ სკოლა „ბრიტანიკაში“ კარგა ხანია დიდი ყურადღება ექცევა ჭადრაკის სწავლებას. აქაური მოსწავლეები ხშირად მონაწილეობენ შეჯიბრებებში. ბრძენთა თამაშის ლაბირინთებში გზის გაკვალვაში მათ ჯერ საერთაშორისო ოსტატი ნინო მელაშვილი ეხმარებოდა, იანვრიდან კი ამ საქმეს საერთაშორისო ოსტატი ალექსანდრა ვახანია უდგას სათავეში. მომავალი ტურნირებისთვის ნიჭიერ მოჭადრაკეთა გამოსავლენად სწორედ მისი ინიციატივით გაიმართა სკოლის პირველობა (მთავარი მსაჯი საერთაშორისო ოსტატი **ანა გავაშელი**), რომელშიც IV-VI კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ ოლიმპიური სისტემით. დაძაბული პაექრობების შემდეგ ნიკოლოზ სირაძე, ნიკოლაის ფეხლევანიდისი, ნიკოლოზ თაბაგარი და ნიკოლოზ მოლაშხია ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც სირაძემ ფეხლევანიდისთან წააგო, თაბაგარმა კი მოლაშხიას სძლია. გადამწყვეტ პაექრობაში თაბაგარმა ფეხლევანიდისი დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ადგილი ფეხლევანიდისს ერგო, მესამე ადგილზე კი სირაძე გავიდა, რომელმაც მოლაშხიას აჯობა. გამარჯვებულები

და პრიზიორები საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრმა, დიდოსტატმა ბელა ხოტენაშვილმა დააჯილდოვა. ტურნირის საზეიმო დახურვის შემდეგ მანვე ბრიტანიკელებთან ერთდროული თამაშის სეანსი გამართა.

ვაჟა დანელია,

სურათზე: ბელა ხოტენაშვილი ერთდროული თამაშის სეანსისას.

◎ ტყვიის სროლა

გაიხსნა განახლებული ტირი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის განახლებული ტირი, რომელსაც ახალი სასროლეთი დაემატა. საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები – ლერი ხაბელოვი, ელგუჯა ბერიშვილი, ემზარ ზენაიშვილი, მამუკა ხაბარელი და ნინო სალუქვაძე, სროლის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი კახა სიხარულიძე. ახალი დარბაზი სროლის სახეობათა ფედერაციას მთავრობის დადგენილებით 10 წლის ვადით გადაეცა. შედეგად ნინო სალუქვაძის ტირი და ახალი დარბაზი გაერთიანდა და საქართველოს ნაკრების წევრები ბევრად კომფორტულ პირობებში ივარჯიშებენ. გაიზარდა პნევმატური და სპორტული პისტოლეტებით სასროლო ადგილების რაოდენობა, რაც ფედერაციას საშუალებას აძლევს გაცილებით მეტი სპორტსმენი მოამზადოს, თან მცირე მასშტაბის საერთაშორისო ტურნირებსაც უმასპინძლოს.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: „ეს არის მთავრობის მორიგი საჩუქარი. სასიხარულოა, რომ ინიციატივა ფედერაციისგან მოდიოდა. წლების განმავლობაში პრობლემა გადაუჭრელი იყო, მაგრამ ჩვენ ამის გაკეთება შევძელით. აქ გაიზრდებიან მომავალი ოლიმპიური ჩემპიონები, პრიზიორები. სასიამოვნოა, რომ თაობების ოცნება ასრულდა. ფედერაციას საშუალება ექნება დარბაზში ბევრად მეტი ახალგაზრდა მიიღოს და მოამზადოს, ეს კი, თავის მხრივ, მასობრიობის გაზრდას უზრუნველყოფს, რაც სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ასევე, სამინისტროს უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება. მაქსიმალურად დავეხმარებით სპორტულ ფედერაციებს, რათა გადავჭრათ ინფრასტრუქტურული პრობლემები და ხელი შევუწყოთ ჯანსაღი თაობის, მომავალი ჩემპიონების აღზრდას“.

ლეძსო ცინცაძე

სურათზე: განახლებული ტირის გახსნისას.

◎ ავტოსპორტი

„ჯულიეტა“ ქაჯაიას არ დაემორჩილა

Sxg-ის საერთაშორისო სერიის იტალიის ეტაპზე, რომელსაც მონცამ უმასპინძლა, დათა ქაჯაიამ პირველი რბოლა მეორე რიგიდან დაიწყო და სტარტზე კვალიფიკაციაში მოპოვებული პოზიცია ბრძოლით შეინარჩუნა, ეს კი იმის წინაპირობა იყო, რომ წინ წაწევაზეც ეზრუნა. ქაჯაიამ მეორე წრის პირველივე მოსახვევში ფრედერიკ ვერვიშის გასწრება სცადა. ბელგიელმა პილოტმა სტარტი პოულიდან აიღო, მაგრამ პირველ მოსახვევამდე მას რობერტო კოლჩაგომ და ატილა ტაშიმ გაასწრეს. დათამ შიდა რადიუსით სცადა შეტევა, მაგრამ მოსახვევში ერთბაშად სიჩქარე დაკარგა და იქვე ვერვიშს შეეჯახა. როგორც ნარბოლევს განაცხადა, სწორედ გასწრებისას ელექტრონიკა გაეთიშა. კონტაქტის შემდეგ ქაჯაიას მანქანაზე ელექტრონიკა ისევ ამუშავდა, მაგრამ უკვე ყველაფერი პრაქტიკულად დაკარგული იყო – ქართველმა პელოტონის ბოლოში გადაინაცვლა.

„ისევ გაფუჭდა... რაღაც აბსურდია: გაურკვეველი მიზეზის გამო ელექტროობა გაითიშა და მოსახვევში ველარ შევედი. მანქანებთან მცირე კონტაქტიც მქონდა. გადავედი მოსახვევიდან და ყველაფერი ჩაირთო. დავბრუნდი რბოლაში. რამდენიმე მეტოქეს გადავასწარი კიდეც და ისევ იგივე... აღარ ვიცი, რა ვთქვა“, – განაცხადა ასპარეზობის შემდეგ ქაჯაიამ. გამარჯვება კი კოლჩაგომ მოიპოვა, ვინც მონცას ტრეკიდან რამდენიმე კილომეტრში ცხოვრობს და ამ მოგებით ადგილობრივი მაყურებელი დიდად გაახარა.

ანა ცხოვრებაძე

◎ კალათბურთი

ზაზამ ტრავმა მიიღო

ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ დასავლეთ კონფერენციის ფინალური სერიის მეორე შეხვედრაში „სან ანტონიო“ 136:100 გაანადგურა. ფაჩულიამ მატჩი აქტიურად დაიწყო, ბურთი ჩატენა და პარკეტზე უსერხულად დასტა.



ზაზამ მარჯვენა ფეხის ქუსლი იტკინა, რომელიც გაუსივდა და სამედიცინო შემოწმებას დღეს ჩაიტარებს. სწორედ ამის შემდეგ დადგინდება ტრავმის სიმძიმე. ზაზა ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა, მაგრამ პარკეტზე მხოლოდ 7 წუთი დაჰყო. ამ დროში ქართველმა ცენტრმა გუნდს 4 ქულა, 2 პასი და 1 მოხსნა შესძინა. ზაზამ 4-დან ორი ორქულიანი ჩააგდო.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას – „მეომრებმა“ მეტოქეს ოთხივე პერიოდი მოუგეს. მატჩში ყველაზე მეტი – 29 ქულა სტეფ კარიმ ჩააგდო, ხოლო დიურანტს 16 ქულა ჰქონდა. „სან ანტონიოში“ 22 ქულით სიმონსი გამოირჩა.

სერიას „გოლდენ სტეიტი“ 2:0-ს იგებს, მესამე შეხვედრა ტეხასში 21 მაისს გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

17 მაისს სახალხო ზეიმი ,,ფრიდონობა“ აღინიშნა

17 მაისი ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის დაბადების დღე იყო. ამ დღესთან დაკავშირებით აჭარაში უკვე რამდენიმე წელია, სახალხო ზეიმი, ფრიდონობა“ აღინიშნება.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ მეუღლესთან სოფიო ბაკურიძესთან ერთად პოეტის საფლავი ყვავილებით შეამკო. საკათედრო ტაძრის ეზოში ფრიდონ ხალვაშის საფლავზე ოჯახის წევრები და მეგობრები, საქართველოს პარლამენტის, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მწერალთა კავშირის წევრები შეიკრიბნენ. მათ გაიხსენეს პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ცნობილი, ხალხისთვის საყვარელი ლექსები.

ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის სასულიერო პირებმა პოეტის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინეს. ცერემონიალის შემდეგ ღონისძიება სოფელ გეგელიძეებში, პოეტის სახლ-მუზეუმში გაგრძელდა. პარალელურად გაიმართა სიმბოლური ღონისძიებები, რომლის ორგანიზატორები პოეტის სახლ-მუზეუმი და ქედის კულტურის ცენტრი იყო.

„ხატე საქართველოსთვის“

22 მაისს ქალაქ მცხეთაში მეხუთე საერთაშორისო არტ-ფესტივალი „ხატე საქართველოსთის“ გაიხსნება, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მხატვრები მიიღებენ მონაწილეობას.

წლევანდელ ფესტივალში, ისევე როგორც მის დასკვნით გამოფენაში, მონაწილეობას მიიღებენ ხელოვანები აშშ-დან, კანადიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, ლიტვიდან, სირიიდან, სერბეთიდან, თურქეთიდან და კვიპროსიდან და საქართველოდან (სულ 24 მხატვარი და სამი საერთაშორისო კურატორი). დეტალური ინფორმაცია მონაწილეების შესახებ, შეგიძლიათ, ნახოთ ფესტივალის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

ფესტივალის მონაწილეები 5 დღის განმავლობაში იცხოვრებენ მცხეთაში და მის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე შექმნიან თავიანთ ნამუშევრებს. ნამუშევრების ნახვის შესაძლებლობა დამთვალიერებლებს შეეძლებათ 26 მაისს მცხეთის ცენტრალურ პარკში, ღია ცის ქვეშ გამართულ გამოფენაზე, ხოლო 27 მაისს — საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ფესტივალის ორგანიზატორია არასამთავრობო ორგანიზაცია VOICE FROM GEORGIA, წელს უკვე მეორედ ფესტივალს მხარს უჭერს „თიბისი ბანკი“.

მარიამ ღვთისმშობლის ხატი ,,ბარძიმი შეუსმელი“

18 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „ბარძიმი შეუსმელი“ ხსენებას;

ტროპარი: თაყვანს ვცემთ რწმენითა ღმრთიურსა და საკვირველსა ხატსა შენსა, ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, რომელი ბარძიმისაგან შეუსმელისა გულმოწყალებისა შენისაგან დაარწყულებ ჩვენთა გულთა და კეთილმორწმუნეთა კაცთა მოუვლენ სასწაულთა. ჩვენცა, მხილველნი და მსმენელნი ამისა ვიხარებთ სულითა მხურვალითა და გიღაღადებთ: დედოფალო უმოწყალესო, განკურნენ სნეულებანი და ვნებანი ჩვენნი, ევედრე ძესა შენსა, ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, დახსნისათვის სულთა ჩვენთა.

ღვთისმშობლის ამ ხატს განსაკურნებლად ევედრებიან ისინი, ვინც ლოთობის ვნებით არის შეპყრობილი... ერთი კაცი ლოთობის გამო სრულიად გაღატაკდა და ბოლოს ფეხებიც წაერთვა. სიზმარეულ ხილვაში მას ვინმე ბერი გამოეცხადა და უბრძანა, სერპუხოვოში წასულიყო და იქ მამათა მონასტერში ღვთისმშობლის „ბარძიმი შეუსმელის“ ხატის წინაშე პარაკლისი აღესრულებინა.

საგულისხმოა ისიც, რომ მონასტერში ამ ხატის არსებობის შესახებ თურმე არც იცოდნენ, მაგრამ მონათხრობის მიხედვით მოძებნეს, პარაკლისი შეასრულეს და საბრალო სნეული ლოთობისგან განიკურნა.

ამბობენ, ეს ხატი მრავალ ამგვარ სასწაულს აღასრულებს.

გიული ლიპარტია

ჩვენი დიდგორით ქვლავ ვიამაყებთ!

„ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები“.
პაოლო იაშვილი

1967 წლიდან ვარ ჟურნალისტი. გაგანია კომუნისტების დროს ქვემო ქართლში საქართველოს ტელე-რადიო დეპარტამენტის კორესპონდენტი ვიყავი, რა თქმა უნდა, ცენტრი რუსთავი იყო.

იმ დროიდან დიდგორობას ყოველთვის ვაშუქებდი, ზოგჯერ ტელევიზიიდან დიდი ბრიგადა გვესტუმრებოდა.

დიდგორობა მართლაც რომ დიდი სახალხო დღესასწაული იყო, უფრო მეტად თბილისელი სტუმრების სიმრავლე მახსენდება, მათ შორის გამორჩეული ადგილი ეკავა ისტორიკოსს ლევან სანიკიძეს.

შემდგომში, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დღე და ბოლოს, დიდი პურ-მარილობა.

და ახლა, როდესაც „ძლევაი საკვირველის“ ეს სასიქადულო ადგილი და უკვე ერის საამაყო ტრადიციად დამკვიდრებული, მეფეთ მეფის, დიდი დავით აღმაშენებლის ამ უბრწყინვალეს გამარჯვების ადგილზე უცხოელები ეროვნული ზეიმის გამართვას, „საეჭვოდ“ მიიჩნევენ, განსაკუთრებით დღეს ჩვენი მეგობარი თურქები აქტიურობენ და გვირჩევენ, დიდგორობას ნუ იზეიმებთო!

ეს არც მეტი, არც ნაკლები, ერის აბუჩად აგდებაა.

როგორ, ათეული წლები თუ ვდიდგორობდით, ერის საამაყო

ქვემო ქართლს გუბერნატორი დაუნიშნეს, დიდგორობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რეგიონის მოსახლეობისათვის. ეს დღესასწაული გამორჩეული იყო პრეზიდენტის რწმუნებულ ბატონ ლევან მამალაძის დროს. რაც მართალია, მართალია, ამ კაცს ეროვნულობას ვერ დავუკარგავ, მისი გუბერნატორობის დროს დიდგორობა, მართლაც დიდი სახალხო დღესასწაული გახდა, ცხენოსანთა შეჯიბრით დაწყებული, ჭიდაობით დამთავრებული, კონცერტი, პოეზიის თარიღს ვადიდებდით, დღეს ვილაცის შიშით, თუნდაც რიდით, უარი უნდა ვთქვათ ჩვენს საამაყო წარსულზე, ჩვენი ისტორიის მარგალიტზე, და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ დამთავრებულა ქართველი ერი, დღევანდელი ქართველობა და საქართველო ფურთხის ღირსი გამხდარა!!!

გივი ჯახუა,

საქართველოს მწერალთა კავშირისა და მსოფლიო მწერალთა ასოციაციის წევრი,
რუსთავის საპატიო მოქალაქე

ხსოვნა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ რედაქციის პასუხისმგებელ რედაქტორს, ცნობილ პუბლიცისტსა და მწერალს გურამ გოგიაშვილს ტრაგიკულად გარდაეცვალა ქალიშვილი, კეთილშობილი, სათნო ქალბატონი

თამარ გოგიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 18-19 მაისს, 17 სთ; გამოსვენება 20 მაისს, 13 სთ.
მისამართი: პეკინის 16, მე-3 სად. მე-5 სართ.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია უსამძიმრებს ცნობილ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს, მთარგმნელს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელ რედაქტორს გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარ გოგიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფრიდონ თოდუა ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ცნობილ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელ რედაქტორს გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარ გოგიაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ნოდარ ემუხვარი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ცნობილ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელ რედაქტორს, უახლოეს მეგობარს გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარ გოგიაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

გელა ქოქიაშვილი ოჯახით უთანაგრძნობს უახლოეს მეგობარს გურამ გოგიაშვილს შვილის

თამარ გოგიაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.



საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი იუწყებიან მეორე მსოფლიო ომის ღვაწლმოსილი ვეტერანის, სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეოს, სენაკის ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარის

მამანტი ქვარცხავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გავრცელდა ყალბი ერთლარიანი მონეტები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

გამოძიების მიერ დადგენილია, რომ ბრალდებული, ქალაქ თბილისში განთავსებული სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით, საკუთარ ანგარიშზე სისტემატურად რიცხავდა ერთი ლარის ნომინალის ყალბი ლითონის მონეტებს, რის შედეგადაც, მის მიერ საერთო ჯამში გასაღებულია 5 357 ცალი ყალბი ერთლარიანი მონეტა. ბრალდებული საგამოძიებო სამსახურმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.

ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 დან 7 წლამდე ვადით.

გულის ჯიბით სატარებელი წიგნები

დიდ კლასიკოსთან მიბრუნება

შვეიცარიიდან გამოგზავნილ წერილში მან შენგელაიების საგვარეულო ქიაჩის ხატისთვის სანთლის შეწირვა ითხოვა. მისი პარტიული სიმპათიები, რომელიც, ასე თუ ისე, ეპოქამაც მოახვია თავს, სრულიად ეწინააღმდეგებოდა ღვთისადმი მოწიწებას, სიყვარულსა და რიდს. აკი იმავე წერილში წერს: კიდეც „მე, პირადად, მოგეხსენება, არც ღმერთი მწამს და არც ეშმაკი, მაგრამ მაინც მინდა რატომღაც, ჩემი ძირი ხატი მწყალობდეს. ძალიან მინდა!..“ სურდა, რადგან სულშიც ეჯდა რწმენა, მიუხედავად თავს დატეხილი უამრავი განსაცდელისა, ბეწვის ხიდზე სიარულისა, აღმასვლისა და აღიარებისა. ეს ადამიანი გახლდათ ლეო ქიაჩელი. შესაძლოა, ეს სახელი და გვარი დღევანდელი ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს არაფერს ეუბნებოდეს, მაგრამ ჩვენი ქართული ლიტერატურის ისტორიაში კლასიკოსთა შორის დამკვიდრებული მწერალი ბევრად განსხვავდებოდა სხვათაგან თავისი ფილოსოფიური ძიებებით, მოდერნისტული სტილით, მძაფრსიუჟეტიანი ნოველებითა და შემოქმედებით. ყველაზე მთავარი, რაც განასხვავებდა სხვა მწერალთაგან, იყო ის, რომ შეეძლო ყოველგვარ ქარგას ამოუფარებლად ეთქვა სიმართლე, რეალიზმის დამკვიდრებაში სრულიადაც არ უშლიდა ხელს თავისი მსოფლმხედველობა.



ჩვენი დროის ახალგაზრდებს სკოლაში გვასწავლიდნენ „ტარიელ გოლუას“, „გვადი ბიგვას“, „ჰაკი აძბას“, ვკითხულობდით მის უშესანიშნავეს ნოველებს. ლეო ქიაჩელი, მიუხედავად იმისა, რომ სქელტანიან რომანებს ერიდებოდა, მის ოთხ რომანში სრულადაა ჩატეული განსაზღვრული ეპოქის ნათელი სურათი. მწარე სიმართლე, რომელიც ოსტატურადაა დანახული დიდი კლასიკოსის თვალით, სრულიადაც არ უშლის ხელს, თავისივე იდეოლოგიის წარმომადგენლები აკრიტიკოს.

სულ ახლახან საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ თავის მიერ დაარსებულ მინიატიურულ წიგნთა სერიას ახალი წიგნი მიუმატა, ქალბატონ **ინგა მილორავას** უშესანიშნავესი წინასიტყვაობით, **ლია ნადარეიშვილის** რედაქტორობითა და **თედორე რეხვიაშვილის** მშვენიერი გრაფიკული გაფორმებით, ეს არის ლეო ქიაჩელის ხუთი მოთხრობა — „ჰაკი აძბა“, „თავადის ქალი მაია“, „ალმასგირ კიბულან“, „მე და ჩემი ორი მე“ და „Escalade“.

გამოცემის ხელმძღვანელის, ბატონი **შოთა კობიაშვილისა** და მისი ერთგული ჯგუფის მიერ შედგენილი და გამოცემული მინიატიურული წიგნები წლებია, მრავალი თაყვანისმცემლისა და წიგნის მოყვარულის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ქართველი კლასიკოსების, პოეტების ეს გულისჯიბით სატარებელი წიგნები ბევრი მათგანის საოჯახო ბიბლიოთეკის მშვენებაა. ლეო ქიაჩელის შემოქმედებასთან მიბრუნება კი მართლაც დროული და დიდი საქმეა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დიდი მოდერნისტი, ნოველისტი კლასიკოსი სათანადოდ არაა ცნობილი თანამედროვე ახალგაზრდობისთვის.

ავთანდილ ბექაური

სეზონურად მოყვავილე მცენარეების დარგვა გრძელდება

ამჟამად სამუშაოები ბათუმში კაჩინსკების ქუჩაზე მდებარე წრიულზე მიმდინარეობს, სადაც 34 ძირი გართხმული ღვია და ერთწლოვანი ყვავილები დაირგო. წრიულზე დაიგო გეოტექსტილი და გაფორმდა დეკორატიული ქვიშითა და პემზით.

გამწვანების სამუშაოები პარალელურად ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე მიმდინარეობს. საოცრებათა პარკიდან ახალ ბულვარამდე მონაკვეთში ირგვება ყვავილები, რის შემდეგაც იმნაძისა და მაიაკოვსკის ქუჩების გამწვანება იგეგმება. ქალაქში 400 ათასი ძირი ყვავილი და 3 ათას 500 ხე დაირგვება.

იაპონიის პრინცესას შესაძლოა, ტიტული ჩამოართვან

ამის მიზეზი მისი სასიყვარულო ურთიერთობა გახდება. 25 წლის მაკომ საერთაშორისო ქრისტიანულ კოლეჯში ახალგაზრდა სტუდენტი გაიცნო, რომელსაც ცოლად მიყვება. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებას არ შეიცვლის, მას შესაძლოა, საიმპერატორო ოჯახის წევრის სტატუსი ჩამოართვან, რაც იაპონიაში დინასტიურ კრიზისს შექმნის. მაკო იმპერატორ აკიხიტოს უფროსი შვილიშვილია. მოქმედი იმპერატორი, 83 წლის აკიხიტო ასაკის გამო გადადგომას აპირებს.

ისევ ბერმუდის სამკუთხედი

ბერმუდის სამკუთხედში თვითმფრინავი გაუჩინარდა. ბორტზე იმყოფებოდა 5 ადამიანი. მათ შორის იყო ორი არასრულწლოვანიც.

ოჯახმა დედის დღე პუერტო რიკოში გაატარა. როდესაც ისინი ორძრავიანი მომცრო ზომის თვითმფრინავით ფლორიდაში ბრუნდებოდნენ, 22:10 წუთზე კავშირი გაწყდა.

ბორტზე იმყოფებოდნენ: ავიაკომპანია „სქაილაითის“ აღმასრულებელი დირექტორი, 40 წლის ჯენიფერ ბლუმინი, მისი 3 და 4 წლის ვაჟები და 52 წლის შეყვარებული ნათან ურლიჩი.

სამშაბათს გვიან ღამით, სანაპირო დაცვამ აღნიშნა რომ ნარჩენების კვალი შეიმჩნევა. სამაშველო გუნდი ეძებს გაუჩინარებულ თვითმფრინავს, თუმცა უშედეგოდ.

ინდონეზიელ ჰომოსექსუალ წყვილს გაროზგვა მიუსაჯეს

ორ ჰომოსექსუალ მამაკაცს ინდონეზიის სასამართლომ სექსის გამო გაროზგვა მიუსაჯა. მათ 85 როზგს დაარტყამენ. პროკურატურა განსასჯელებისთვის 80 როზგის მისჯას ითხოვდა, რაც მოსამართლემ არასაკმარისად მიიჩნია. კანონი ჰომოსექსუალთა სექსუალური კავშირის აკრძალვის შესახებ ინდონეზიაში 2014 წლიდან მოქმედებს.

ყველაზე გრძელი კატა

გამოცემა „Mashable“-მა მსოფლიოში ყველაზე გრძელი კატის სახელად ომარის ფოტო გამოაქვეყნა. ომარი 120 სანტიმეტრს და 14 კილოგრამს იწონის. ყველაზე გრძელი კატა მელბურნში ცხოვრობს. მისი პატრონი სტეფი ჰერსტი უკვე დაუკავშირდა გინესის რეკორდების წიგნს. მოქმედი რეკორდით ყველაზე გრძელი კატა 118 სანტიმეტრია .

ბელენს პარიზში ელიან

ერთ დროს მეჩოგნე დავიდ ნალბანდიანისა და ფეხბურთელ ხუან რამონ რიკელმეს გულისსწორი, უცნობილესი არგენტინელი მოდელი, მსახიობი, ტიტლიკანობისმოყვარე ქალი და უბრალოდ თბილი ადამიანი ბელენ როდრიგესი ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ლათინურ ამერიკას ემშვიდობება.

როგორც სენიორიტა ბელენმა ბულვარულ პრესასთან საუბარში ამოიგმინა, საბოლოო ჯამში მაინც ვერ თქვა უარი საინტერესო შეთავაზებებზე და ფრანგების პირობებს დათანხმდა. ამიერიდან მომავალ წლებში როდრიგესის ქალი ფრანგული პოდიუმისათვის იგოგმანებს და პარიზის ქუჩებს გაალამაზებს.

ბელენ როდრიგესს მსგავსი შეთავაზებები არაერთხელ ჰქონია და მას ხან იტალიაში იწვევდნენ, ხან ესპანეთში და მოსკოვიდანაც კი მისვლია მიწვევა, მაგრამ იგი „ვერცხლისქვეყნის“ ტრფიალებიდან ვერა და ვერ გამოდიოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მარადიული ამქვეყნად მართლაც რომ არაფერია.

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4242; ევრო - 2.6807;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1253;
100 რუბლი - 4.3005; თურქული ლირა - 0.6822;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4323;
1000 სომხური დრამი - 5.0087.

ამინდი 18 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge